საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 113 (9581) | პარასკევი, 15 მაისი, 1953 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში. — „პრავდის“ 14 მაისის მოწინავე (1-ლი გვერდი).

ჩვენს დიად სამშობლოში (1-ლი გვერდი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში (1-ლი გვერდი).

პარტიულ კონფერენციებზე. — გადაჭრით ავამაღლოთ უმაღლეს სასწავლებლებში პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის დონე. გამოვასწოროთ არსებული ნაკლოვანებანი. ორგანიზატორული მუშაობა — ახალი ამოცანების სიმაღლეზე. გაუბედავი, მოკრძალებული კრიტიკა (მე-2 გვერდი).

მშვიდობის პაქტისათვის! — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პასუხი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის წერილზე. ალბანეთის მთავრობის პასუხი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის წერილზე. მშვიდობის მომხრეთა კონფერენცია ტორონტოში (მე-3 გვერდი).

პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის გამოსვლა ინგლისის თემთა პალატაში (მე-3 გვერდი).

ინგლისის თემთა პალატაში (მე-3 და მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

კომუნისტური პარტია უდიდეს პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა. ყოველდღიურად ზრუნავს კადრების, უველა კომუნისტის იდეურ-პოლიტიკური გამოწრთობისათვის, მათი მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის. მილიონობით კომუნისტი და უპარტიო აქტივისტი სწავლობს პარტიული განათლების სისტემაში რევოლუციურ თეორიას, პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. იმაღლებენ რა ცოდნას მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში, ისინი აძლიერებენ პოლიტიკურ და შრომითს აქტივობას კომუნისტურ მშენებლობაში.

პარტიის XIX ყრილობამ პარტიული ორგანიზაციებისგან მოითხოვა გადაჭრით მოუღონ ბოლო იდეოლოგიური მუშაობის შეუფასებლობას, დაუცხრომლად ამხილონ მარქსიზმისადმი უცხო იდეოლოგიის ყოველგვარი გამოვლინება, სისტემატურად სრულყონ ჩვენი კადრების იდეურ-პოლიტიკური მომზადება. კომუნისტების პოლიტიკური ცოდნის ამაღლება, მათ მიერ რევოლუციური თეორიის გულმოდგინე შესწავლა წარმოადგენს კომუნისტური მშენებლობის ყველა დარგში მათი მოწინავე როლის გაძლიერების, პარტიული მასების შემდგომი აქტივიზაციისა და პარტიული მუშაობის გაუმჯობესების აუცილებელ პირობას.

ახორციელებენ რა ყრილობის გადაწყვეტილებებს, პარტიული ორგანიზაციები ახლა მეტ ყურადღებას აქცევენ იდეოლოგიური მუშაობისადმი, მარქსისტულ-ლენინური პროპაგანდისადმი ხელმძღვანელობას. იდეოლოგიური მუშაობის საკითხები განხილულ იქნა პარტიული კომიტეტების პლენუმებზე, პარტიული აქტივის კრებებზე, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. ბევრი პარტიული ორგანიზაცია ახლა უფრო აქტიურად მუშაობს კომუნისტების მარქსისტულ-ლენინურ მომზადებისათვის, უფრო ღრმად სწვდება პარტიული განათლების ქსელის მუშაობას, აძლიერებს კონტროლს ლექციების, კონსულტაციების იდეურ-თეორიული შინაარსისადმი, სკოლებსა და წრეებში მეცადინეობისადმი.

ახლა პარტიული ორგანიზაციების პროპაგანდისტულ მუშაობაში პასუხსაგები ეტაპი დაიწყო. ყველგან დაიწყო მზადება პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დამთავრებისათვის. ამოცანა ის არის, რომ ორგანიზებულად დავამთავროთ სასწავლო წელი, შევაჯამოთ კომუნისტების პოლიტიკიური სწავლის შედეგები, განვაზოგადოთ დადებითი გამოცდილება, ვამხილოთ ნაკლოვანებანი პროპაგანდისტულ მუშაობაში და დროზე გავაჩაღოთ მზადება მომავალ წელს მეცადინეობისათვის.

ისევე როგორც გასულ წლებში, პარტიული განათლების სკოლებსა და წრეებში მეცადინეობა მთავრდება სოფლად მაისის დამლევს, ქალაქად ივნისის დამლევს. სასწავლო წლის დამთავრებისათვის მზადებისას საჭიროა უწინარეს ყოვლისა უზრუნველვყოთ თვითეულ სკოლასა და წრეში მეცადინეობის ხარისხის შემდგომი გაუმჯობესება და მუშაობის ორგანიზებულობა. საჭიროა გავაძლიეროთ დახმარება კომუნისტებისადმი, რომ მათ უფრო ღრმად შეისწავლონ პარტიის XIX ყრილობის მასალები, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიმართვა პარტიის ყველა წევრისადმი, საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელისადმი, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა ამა წლის 9 მარტის გამოსვლები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს IV სესიის გადაწყვეტილებანი.

პარტიულ პროპაგანდაში მთავარია ლექციებისა და მეცადინეობის მაღალი იდეურ-პოლიტიკური დონე, მებრძოლი, შემტევი სულისკვეთება მარქსიზმისადმი უცხო თეორიებისა და შეხედულებების წინააღმდეგ, პროპაგანდის განუყრელი კავშირი პარტიის მიერ შემუშავებული პოლიტიკის, როგორც საბჭოთა წყობილების სასიცოცხლო საფუძვლის, წარმატებით განხორციელებისათვის ჩვენი ხალხის ბრძოლის საარსებო ამოცანებთან. მარქსიზმ-ლენინიზმისათვის უცხოა პროპაგანდისადმი აბსტრაქტული მიდგომა, მისი მოწყვეტა კომუნიზმისათვის ბრძოლის პრაქტიკული ამოცანებისაგან.

პოლიტსკოლებსა და ძირითადი ტიპის წრეებში, რომლებიც ახლა პარტიის XIX ყრილობის მასალებს სწავლობენ, მუშაობა ისე უნდა მოვაწყოთ, რომ უზრუნველყოფილ იქნას კომუნისტების მიერ თანამედროვეობის ამ ისტორიული დოკუმენტების ზედმიწევნით შეთვისება, მიმდინარე წლის სასწავლო პროგრამის შესრულება. თუ რომელიმე წრე ჩამორჩა ერთი-ორი თვით, ნიშანშეწონილია მეცადინეობა განვაგრძოთ პროგრამის შესრულებამდე და არ დავუშვათ უსარგებლო და მავნე ხიჩქარე, რასაც შეუძლია სერიოზულად დააჭვეითოს მეცადინეობის იდეურ-პოლიტიკური დონე.

სკოლებისა და წრეების მუშაობა დამთავრდება საუბრით თემაზე „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია საბჭოთა ხალხის წარმმართველი და ხელმძღვანელი ძალაა“. პროპაგანდისტთა დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ზედმიწევნით უჩვენონ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელი როლი კომუნიზმის მშენებლობაში, მისი ურყევი ერთიანობა და სასიცოცხლო კავშირი ხალხთან, პარტიის დაუცხრომელი ზრუნვა საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობისათვის. ჩვენი პროპაგანდა მოწოდებულია აღზარდოს საბჭოთა ადამიანები პარტიისადმი, საბჭოთა სახელმწიფოსადმი ერთგულების სულისკვეთებით, კიდევ უფრო განამტკიცოს რწმენა პარტიის საქმის უძლეველობისადმი, საბჭოთა ხალხის დაუშრეტელი შემოქმედებითი ძალებისადმი.

დიდი მუშაობა მოელით მაღალი ტიპის წრეებს, სადამოს პარტიულ სკოლებს და მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებს. საჭიროა ყოველმხრივი დახმარება გაეწიოს მსმენელებს მათ მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ნაწარმოებთა ზედმიწევნით შესწავლაში, ამ მიზნით მოეწყოს დამატებითი ლექციები, კონსულტაციები, მასწავლებელთა ხაუბრები გავლილი მასალის მიხედვით. შემაჯამებელმა მეცადინეობამ პოლიტსკოლებსა და წრეებში, ჩათვლებმა და გამოცდებმა მარქსიზმ-ლენინიზმის სადამოს უნივერსიტეტებსა და პარტიულ სკოლებში დახმარება უნდა გაუწიოს მსმენელებს განიმტკიცონ და გაიღრმავონ მიღებული ცოდნა, უნდა აამაღლოს კომუნისტების პასუხისმგებლობა მარქსისტულ-ლენინური განათლებისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდება პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს განახორციელონ კონტროლი იმისადმი, თუ როგორ ეუფლებიან კომუნისტები ცოდნის მინიმუმს მარქსიზმ-ლენინიზმის დარგში. შემაჯამებელი მეცადინეობა პარტიული განათლების სკოლებსა და წრეებში სასწავლო წლის დამლევს, ისევე როგორც გამოცდები და ჩათვლები მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტებსა და რაიონულ პარტიულ სკოლებში, კომუნისტების პოლიტიკური სწავლებისადმი კონტროლის დიდმნიშვნელოვანი ფორმაა.

შემაჯამებელი მეცადინეობა უბრალო ფორმალობა კი არ არის, არამედ ცოდნის სერიოზული შემოწმებაა. ამ მეცადინეობამ უნდა გვიჩვენოს სწავლის შედეგები, რომლებითაც სკოლებისა და წრეების მსმენელები მივიდნენ სასწავლო წლის დამთავრებამდე, რამდენად მტკიცედ შეითვისეს მათ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შესასწავლი საკითხები. სკოლებსა და წრეებში უნდა მოეწყოს ორი-სამი შემაჯამებელი მეცადინეობა, ხოლო თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელ კომუნისტებთან — ჯგუფური თეორიული გაუაზრებლობა და სემინარული მეცადინეობა, რომელზეც დაისმება წლის განმავლობაში შესწავლილი მასალის ძირითადი საკითხები, გაკეთდება მოხსენებები და რეფერატები მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ცალკეულ საკითხებზე.

სასწავლო წლის დამთავრებასთან დაკავშირებული მთელი მუშაობა პარტიული ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და შეუსუსტებელ კონტროლს, მასში პარტიული აქტივის ფართო მონაწილეობას. სწორად იქცევიან ის პარტიული კომიტეტები, რომლებიც აწყობენ პროპაგანდის მუშაკთა თათბირებს, კომუნისტების საერთო კრებებს, აქტივის კრებებს, სადაც განიხილავენ პარტიული პროპაგანდის შემდგომი გაუმჯობესებისა და პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის ორგანიზებულად დამთავრების საკითხებს.

სასწავლო წლის დამამთავრებელ ეტაპზე განსაკუთრებით საჭიროა გაძლიერდეს პროპაგანდა პრესაში. ადგილობრივმა გაზეთებმა თავიანთ ფურცლებზე უნდა დაბეჭდონ სტატიები და კონსულტაციები თეორიის საკითხებზე, ფართოდ გააშუქონ პარტიული ორგანიზაციების მუშაობა სასწავლო წლის დასამთავრებლად, გაბედულად გააკრიტიკონ ნაკლოვანებანი პარტიული პროპაგანდის დაყენებაში, პოპულარიზაცია გაუწიონ დადებით გამოცდილებას.

ახლა, როცა სასწავლო წლის დამთავრებამდე ცოტა დრო დარჩა, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პარტიული განათლების ყველა რგოლის ზუსტ მუშაობას, სკოლებში, წრეებსა და სემინარებში მეცადინეობის ორგანიზებულობის ამაღლებას. ამავე დროს ირკუტსკის, კიროვისა და ნოვოსიბირსკის ოლქების მთელ რიგ პარტიულ ორგანიზაციებში სერიოზული ნაკლოვანებანია კომუნისტების მარქსისტულ-ლენინურ სწავლაში, ჯერ კიდევ არის მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები პარტიული განათლების ქსელში, დაბალია მეცადინეობაზე დასწრება. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ ასეთი მოვლენები შეუწყნარებელია.

მიმდინარე სასწავლო წლის შედეგების შეჯამების მსვლელობაში უნდა შეიქმნას საჭირო პირობები პროპაგანდისტული მუშაობის შემდგომი აღმავლობის მისაღწევად და ახალი სასწავლო წლისათვის ჭოსამზადებლად, მოღწეულ იქნას, რომ ყველა კომუნისტი ბეჯითად და გულმოდგინედ მუშაობდეს თავისი იდეური დონის ასამაღლებლად.

პარტიულმა ორგანიზაციებმა დროზე უნდა დაკომპლექტონ სკოლების, წრეებისა და სემინარების ქსელი და გაითვალისწინონ განვლილ წელს თვითეული კომუნისტის სწავლის შედეგები. პარტიული განათლების ქსელის დაკომპლექტებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ საჭიროა აღმოიფხვრას ჯერ კიდევ ზოგან არსებული თვთდინება და უკონტროლობა პარტიულ პროპაგანდაში, უფრო ფართოდ გავშალოთ პოლიტიკური სწავლის წრეობრივი, სემინარული და სხვა ჯგუფური ფორმები, უფრო აქტიურად დავეხმაროთ კომუნისტებს, რომლებსაც სჭირდებათ ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების ამაღლება.

განსაკუთრებით საჭიროა უზრუნველვყოთ პროპაგანდისტთა გულმოდგინე შერჩევა, შევიმუშაოთ და ზაფხულის პერიოდში განვახორციელოთ პროპაგანდისტთა კადრების მომზადებისა და გადამზადების კონკრეტული ღონისძიებანი. საჭიროა წრეებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელობაში ჩავაბათ თეორიულად მცოდნე და მომზადებული კომუნისტები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს პროპაგანდისტულ მუშაობაში. პარტიულ ორგანიზაციებს ამისათვის ყველა შესაძლებლობა აქვთ. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროპაგანდისტთა თეორიულ დონესა და მეთოდურ ოსტატობაზე, მათ უნარზე — ზედმიწევნით განმარტონ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების დებულებანი კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან განუყრელ კავშირში — დამოკიდებულია პოლიტიკური მეცადინეობის იდეური შინაარსი პარტიული განათლების ქსელში.

პარტიული ორგანიზაციების მოვალეობაა იბრძოლონ მთელი პარტიული პროპაგანდის შემდგომი აღმავლობისათვის და ამ საფუძველზე კომუნისტების იდეურ-თეორიული დონის ამაღლებისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში მათი ავანგარდული როლის გაძლიერებისათვის.

„პრავდის“ 14/V მოწინავე.

ჩვენს დიად სამშობლოში

★

მზადება რკინიგზელის საკავშირო დღისათვის

რკინიგზის ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება რკინიგზელის საკავშირო დღის მომზადებისა და ჩატარების შესახებ.

ტრანსპორტის მუშაკთა ტრადიციული დღესასწაული მოეწყობა რკინიგზელთა მიერ პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულების, შრომითი და სახელმწიფო დისციპლინის შემდგომი განმტკიცების, ტვირთზიდვის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების და ზამთრის პირობებში სამუშაოდ მეურნეობისა და კადრების სანიმუშოდ მომზადების ნიშნით.

რკინიგზელთა კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, საერთო საცხოვრებლებსა და უშუალოდ საწარმოებში დღესასწაულისათვის მზადების დღეებში ფართოდ გაჩაღდება სალექციო და საწარმოო-ტექნიკური პროპაგანდა, მოეწყობა საღამოები, სპექტაკლები, საუკეთესო საბჭოთა კინოფილმების ფესტივალი. (საკდესი).

დაიწყო ჩაის კრეფა

ადლერი, (**კრასნოდარის მხარე**), 13 მაისი. (საკდესი). ყუბანის ჩაის პლანტაციებში დაიწყო მოსავლის აღება. ადლერის რაიონის ფერეზეს სახელობის კოლმეურნეობაში დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა.

საკავშირო სამხატვრო გამოფენა

მოსკოვში დიდი პოპულარობით სარგებლობდა 1952 წლის საკავშირო სამხატვრო გამოფენა. ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იგი დაათვალიერა 527 ათასზე მეტმა კაცმა — დედაქალაქის მშრომელებმა, ჩვენი ქვეყნის ბევრი ქალაქიდან ჩამოსულებმა, აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა.

სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს გადაწყვეტილებით 1952 წლის საკავშირო სამხატვრო გამოფენა ექსპონირებული იქნება თბილისში, ბაქოში, კიევსა და ლენინგრადში.

მოძრავი გამოფენის ექსპოზიციაში შეტანილია ფერწერის, სკულპტურისა და გრაფიკის ნაწარმოებნი, რომლებიც ასახავენ საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითს შრომას, სოციალისტურ გარდაქმნებს, რომლებიც ყოფაცხოვრებაში ხდება, ხალხთა ბრძოლას ომის წინააღმდეგ.

მშრომელები ორიგინალებში გაეცნობიან გამოჩენილი საბჭოთა მხატვრების ნამუშევრებს. გამოფენას იყოლება ლექტორები, რომლებიც წაიკითხავენ მთელ რიგ მოხსენებებს საბჭოთა სახვითი ხელოვნების შესახებ.

1 ივნისს 1952 წლის საკავშირო სამხატვრო გამოფენა გაიხსნება თბილისში. (საკდესი).

იქმნება სომხეთის ადგილობრივი მრეწველობის მეტალურგიული გაზა

ერევანი, 13 მაისი. (საკდესი). ერევნის ლითონკონსტრუქციების ქარხნის ფურცელსაგლინავ საამქროში, რომელიც ამჟამად შენდება, დაიწყო ძირითადი ტექნოლოგიური მოწყობილობის — საგლინავი დანადგარის მონტაჟი. ამჟამად სომხეთში დიდი მუშაობა წარმოებს ადგილობრივი მრეწველობის საკუთარი მეტალურგიული ბაზის შექმნის, ლითონდამუშავებელი საწარმოების სიმძლავრის გადიდების დარგში.

ერევანში აშენდება მილსამსხმელო საამქრო, რომელიც ნავარაუდევია წყალსადენის და კანალიზაციის მილების გამოსაშვებად. ეწყობა გაზისა და მილიანშედუღებული მილების წარმოება, რაც უზრუნველყოფს ელექტროარმატურისა და სხვა პროდუქციის გამოშვების მნიშვნელოვან გადიდებას. წელიწადში ხუთას ტონა პროდუქციას გამოუშვებს მოთუთიებული ჭურჭლის წარმოების საამქრო, რომელიც ამჟამად შენდება.

ახალი საწარმოო კორპუსები შენდება ერევნის ელექტრომაშუკი არმატურის ქარხანაში. ბევრად გაიზარდა ლენინაკანის მექანიკური ქარხნის სიმძლავრე. ეს საწარმო ახლა ძირითადად უშვებს საშენ მანქანებსა და მექანიზმებს, საშენი ქვის დასამუშავებელ ჩარხებს, ქვის სამხხვრეკ მანქანებს, ხე-ტყის სახერხ დაზგებს.

ხუთწლედის ბოლოსათვის სომხეთის ადგილობრივი მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება 80 პროცენტით გადიდდება.

ჩარხი-გიგანტი

კოლომნა. (საკდესი). კოლომნის მძიმე ჩარხმშენებლობის ქარხანაში გაკეთდა ახალი სახარატო-კარუსელური ჩარხი. იგი გათვალისწინებულია კომუნიზმის დიად მშენებლობათა ჰიდროტურბინების და სხვა მსგავსი მანქანების დეტალების დასამუშავებლად.

ყველა მექანიზმის მართვა მთლიანად ავტომატიზებულია და ხორციელდება ცენტრალური პულტიდან. დიდ ფარზე განლაგებულია მრავალი კნოპი. ერთერთ მათგანზე თითის დაჭერით მუშას შეუძლია აამოძრაოს ან გააჩეროს ჩარხის ყოველი მექანიზმი. აქვე ფარზეა სასიგნალო ნათურები და საკონტროლო ხელსაწყოები. ისინი აჩვენებენ ჩარხის მუშაობის სიჩქარეს, დენის ძაბვას, საშუალებას იძლევიან თვალყური ადევნონ ტემპერატურას და საცხის მიწოდებას. დადგენილი რეჟიმის რაიმე შეფერხებისას სპეციალური მექანიზმები იძლევიან სინათლისა და ბგერის სიგნალებს, ანდა ავტომატურად აჩერებენ ჩარხს.

აგრეგატის გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. საჭრისები ადვილად აცლიდნენ დასამუშავებელ დეტალს 50-60 მილიმეტრი სიგანისა და 5 მილიმეტრი სისქის ნათალს.

ჩარხ-გიგანტის გადასატანად საჭირო იქნება ბევრი სარკინიგზო პლატფორმა.

დაიწყო სამგზავრო გემების მიმოსვლა

დონის-როსტოვი. (საკდესი). 12 მაისს საღამოს ვოლგა-დონის საზაოსნო სამგზავრო ეკაზლიდან მიმდინარე ნავიგაციის პირველ რეისში მოსკოვამდე გაემგზავრა თბომავალი „სერგეი კიროვი“. ამ რეისით დაიწყო სამგზავრო გემების რეგულარული მიმოსვლა, მოსკოვ-როსტოვის სატრანზიტო ხაზზე.

ლენინგრადის მწვანე სამოსი

ლენინგრადი, 13 მაისი. (საკდესი). დღეს ქალაქში დამთავრდა ხეებისა და ბუჩქების საგაზაფხულო რგვა. დარგულია ნახევარ მილიონამდე მრავალწლიანი ცაცხვი, ალვისხე, მუხა, არყისხე და ბუჩქი. მნიშვნელოვნად გადიდდა მწვანე ნარგავები ი. ბ. სტალინის სახელობის პროსპექტზე და საადმირალოს სანაპიროს ბულვარზე. ახალი ნარგავები გაჩნდა სკვერებში რუსული მუზეუმის შენობასთან და ლომონოსოვის მოედანზე.

ახლა ლენინგრადის მწვანე ნარგავების ფართობი 8 ათასზე მეტ კვადრატულ მეტრს შეადგენს.

მზის მომავალი დაგნელეგა

13 მაისს გაიმართა პ. კ. შტერნბერგის სახელობის სახელმწიფო ასტრონომიული ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომა. მოხსენება საბჭოთა მეცნიერების მზადების შესახებ მზის დაბნელებისათვის, რაც 1954 წლის 30 ივნისს მოხდება, გააკეთა ნ. ნ. პარიისკიმ. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში მზის დაბნელების ზოლი დაიწყება მდინარე ნემანის (კლაიპედის რაიონი) შესართავიდან, გაივლის ვილნიუსს, კიევს, პოლტავას, მოიცავს კავკასიის მინერალური წყლების კურორტებს, მყინვარწვერს, შემდეგ თბილისს ჩრდილოეთ რაიონს, ბაქოს და დამთავრდება მდინარე მტკვრის შესართავთან.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე მზის დაბნელება გაგრძელდება სულ 46 წუთს. მზის მომავალ დაბნელებას დიდი მნიშვნელობა აქვს მზის ატმოსფეროს ზედაფენების ფიზიკური შემადგენლობის შესწავლისათვის.

1954 წლის მზის დაბნელების დაკვირვებაში მონაწილეობას მიიღებს ოცზე მეტი სამეცნიერო დაწესებულება, რომელთაც ხელმძღვანელობას გაუწევს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან შექმნილი სპეციალური კომისია. (საკდესი).

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

ჩინელ მანქანათმშენებელთა წარმატებანი

შანხაი, 12 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ძეფანჟიბაო“ დღეს წერს შანდუნის პროვინციის მანქანათმშენებელთა წარმატებებზე. სახალხო რევოლუციის გამარჯვებამ, აღნიშნავს გაზეთი, უზრუნველყო ჩინეთის მანქანათმშენებლობის წარმატებთა განვითარება. შანდუნის პროვინციის მანქანათმშენებელმა საწარმოებმა უკვე 1949 წლიდან აითვისეს და უშვებენ უაღრესად სხვადასხვა რთულ მანქანებს, ჩარხებსა და სამრეწველო მოწყობილობას.

1952 წლის დამლევისათვის პროვინციის საწარმოები უშვებდნენ 50-ზე მეტი ახალი სახეობის ჩარხებსა და მანქანებს, მათ შორის სახარატო, განივსარანდავ ჩარხებს, ორთქლის უროებს, პნევმატიკურ საყელავ ურობებს, ბეტონსარეველებს, 50-ძალიან გაზგენერატორის ძრავებს, წყლის მძლავრ ტუმბოებს, საფეიქრო მანქანებს, ელექტრომოტორებსა და ტრანსფორმატორებს, ორთქლმავლებს, ვაგონებს, ორთქლის გემებს, ზუსტ საზომ ხელსაწყოებს და სხვ. შანდუნის პროვინციის მანქანათმშენებელი ქარხნები წარმატებით ასრულებენ ჩინეთის უდიდეს ჰიდროტექნიკურ მშენებლობათა დაკვეთებს, მათ შორის მდინარე ხუაიხეზე გაჩაღებული მშენებლობის დაკვეთებს.

ჩინეთის სახალხო მეურნეობის გეგმიანი განვითარების პირველმა წელმა შანდუნის პროვინციის მანქანათმშენებლებს ახალი ამოცანები დაუსახა. ახლა პროვინციის ბევრმა მანქანათმშენებელმა ქარხანამ უკვე აითვისა გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოთა წარმოების მთელი რიგი მანქანები, სამთო მრეწველობის მანქანები და ელექტრომავლები. დიდ სამრეწველო ახალშენებათა საჭიროებისათვის პროვინციის ქარხნები უკვე უშვებენ მძლავრ ამწეებს, ელექტრომშემდუღებელ მანქანებს, ახალ სახეობათა ლითონსაჭრელ ჩარხებს.

თავიანთ შემოქმედებით შრომაში, წერს გაზეთი, შანდუნელი მანქანათმშენებლები ფართოდ იყენებენ თავიანთი საბჭოთა ძმების გამოცდილებას. შანდუნის პროვინციის მანქანათმშენებლობის მრეწველობის წარმატებანი, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ემყარება სამრეწველო საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ფართო მასების უმაგალითო შემოქმედებითს ენთუზიაზმს და განუყრელად დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის დიდ და უანგარო დახმარებასთან.

ქალაქი რუსე ბულგარეთის ერთ-ერთი ინდუსტრიული და კულტურული ცენტრია

სოფია, 12 მაისი. (საკდესი). სახალხო ხელისუფლების წლების მანძილზე ქალაქი რუსე გადაიქცა ბულგარეთის ერთ-ერთ უდიდეს ინდუსტრიულ და კულტურულ ცენტრად. აქ არის ბულგარელი ხალხის დიდი შვილის გ. დიმიტროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა, რომელიც ყოველდღიურად ათობით სახეობის სასოფლო-სამეურნეო მანქანას გზავნის ბულგარეთის მინდვრებში. ქარხანამ აითვისა 30-ზე მეტი ტიპის მისაბმელი მანქანის წარმოება, ხოლო მიმდინარე გაზაფხულზე დაიწყო მზადება პირველი ბულგარული კომბაინის გამოშვებისათვის.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ქალაქ რუსეში აიგო ისეთი დიდი საწარმოები, როგორიცაა ველა პისკოვის სახელობის საფეიქრო კომბინატი, ნაიდენ კიროვის სახელობის ქარხანა, ფაბრიკა „ეტერნიტი“, ივანე დიმიტროვის სახელობის გემთსაშენი, ვასილ კოლაროვის სახელობის ორთქლმავალ-შემკეთებელი ქარხანა და სხვ. ქალაქის ინდუსტრიალიზაციასთან ერთად ფართოდ გაჩაღდა კულტურული და საბინაო მშენებლობა. რუსეში შენდება საოპერო თეატრის ახალი შენობა, კულტურისა და დასვენების სახლი მუშებისათვის, ცენტრალური ვაგზალი, ორი სბავშვო სახლი, ეწყობა კულტურისა და დასვენების პარკი 90 ჰექტარ ფართობზე. მუშებისათვის აშენებულია კეთილმოწყობილი მრავალსართულიანი სახლები.

ჩეხოსლოვაკიაში გამოუშვეს ახალი ტრაქტორი

პრაღა, 12 მაისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მრეწველობა რესპუბლიკის კოოპერაციულ სოფლის მეურნეობას უზრუნველყოფს სულ ახალი მანქანებით. დღეს გაზეთი „მლადა ფრონტა“ იუწყება, რომ ლიშნის ანტონინ ზაპოტოცკის სახელობის ქარხნის ინჟინერთა, ტექნიკოსთა და მუშათა კოლექტივმა გამოუშვა ახალი თვლიანი ტრაქტორი „ზეტორ-25-კ“. ახალი ტრაქტორი განკუთვნილია ძირითადად კულტივაციისა და მწკრივთაშორის დამუშავებისათვის.

ბულგარელ მშრომელთა ინტერესი მხატვრული, მეცნიერული და პოლიტიკური ლიტერატურისადმი

სოფია, 12 მაისი. (საკდესი). სულ უფრო იზრდება ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელთა მოთხოვნილება მხატვრულ, მეცნიერულ და პოლიტიკურ ლიტერატურაზე. ბულგარეთის დეპეშათა სააგენტოს ცნობით, უკანასკნელ წლებში ბულგარეთში გამოვიდა 20.574 წიგნი 100 მილიონამდე ცალი საერთო ტირაჟით. ეს ერთისამად და უფრო სჭარბობს ომამდელ წლებში გამოცემული წიგნების რაოდენობას. მარტო 1951-52 წლებში გამოცემული წიგნების ტირაჟი 34.437.037 ცალს შეადგენდა.

ბულგარეთში სახალხო ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფართოდ გავრცელდა სახალხო მწერლების: ხრისტო ბოტევის, ივანე ვაზოვის, ელინ-პელინისა და სხვების წიგნები. ხრისტო ბოტევის იმ ნაწარმოებთა ტირაჟი, რომლებიც გამოშვებულია უკანასკნელ ექვს წელიწადში, 1,5-ჯერ სჭარბობს 1944 წლამდე 70 წლის განმავლობაში გამოცემული წიგნების ტირაჟს. ივანე ვაზოვის ნაწარმოებთა ტირაჟი ერთიანად გადიდდა.

ახალი მშენებლობანი



მოსკოვი, ლენინის გორაზე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთათვის შენდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი. წლის ბოლოს შენობა ექსპლოატაციოდ გადაეცემა. სურათზე: მშენებლობის საერთო ხედი.

ფოტო ვ. კოშევოისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

პოეტ ალიო მირცხულავას იუბილე

პოეტ ალიო მირცხულავას (მაშაშვილის) დაბადების 50 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით შეიქმნა საიუბილეო კომისია გ. ლეონიძის (თავმჯდომარე), ვ. ჭიაურელის, მ. კვესელავას, ირ. აბაშიძის, მ. გოგიჩაიშვილის, ბ. ჟღენტის, კ. კალაძის, ლ. ქიაჩელის, ი. მოსაშვილის, ს. ჭილაიას, კ. ლორთქიფანიძის, შ. დადიანის და გ. ნატროშვილის შემადგენლობით.

ამა წლის 13 მაისს შედგა საიუბილეო კომისიის სხდომა. კომისიამ დაადგინა: პოეტ ალიო მირცხულავას საიუბილეო საღამო მოეწყოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ამა წლის 25 მაისს.

პოეტ ალიო მირცხულავას საიუბილეო საღამოს ჩაატარებენ საქართველოს მწერალთა კავშირის განყოფილებები: ქუთაისში, ბათუმში, სუხუმსა და სტალინირში, აგრეთვე საღამო-შეხვედრა მოეწყობა პოეტის მშობლიურ სოფელ ხორგაში.

პ ა რ ტ ი უ ლ კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ე ბ ზ ე

გამოვასწოროთ არსებული ნაკლოვანებანი

თბილისის სტალინის რაიონის პარტიული კონფერენცია

★

სამრეწველო საწარმოებისა და შემოქმედებით-კულტურული ორგანიზაციების რაოდენობით სტალინის რაიონს ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უკავია დედაქალაქში. რაიონის ტერიტორიაზე განლაგებულია სახელმწიფო მნიშვნელობის 36 სამრეწველო საწარმო, უმაღლესი სპეციალური სასწავლებელი, რამდენიმე შემოქმედებითი ორგანიზაცია, მათ შორის კინოსტუდია, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი, მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი, მუსიკალური კომედიის თეატრი, მხატვრული აღზრდის სახლი, რამდენიმე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და დაწესებულება.

საწარმოებისა და ორგანიზაციების მრავალრიცხოვნება, მათი მუშაობის სხვადასხვაგვარობა მეტად სერიოზულ მოთხოვნებს უყენებს პარტიის რაიონულ კომიტეტს ხელმძღვანელობისა და დახმარების საქმეში.

რაიონული კომიტეტის მდივნის ამხ. პეტრიაშვილის მოხსენებაც სწორედ ამ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით იყო აგებული.

მოხსენების საგრძნობი ნაწილი სამრეწველო საწარმოთა და მათი პარტორგანიზაციების მუშაობის გაშუქებას ჰქონდა დათმობილი.

პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა გამოიწვიეს პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლება სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში, მშრომელთა ახალი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა, ამან კი თავისი გამოხატულება ჰპოვა სამრეწველო საწარმოთა მუშაობაში. რაიონის სამრეწველო საწარმოებმა, როგორც გასული წლის, ისე მიმდინარე წლის ოთხი თვის გეგმა საერთოდ გადაჭარბებით შეასრულეს, ამასთან გეგმის გადამეტებით რამდენიმე მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. მაგრამ მთელი რიგი საწარმოები მაინც ჩამორჩენილი არიან.

საწარმოთა საქმიანობაზე, ისევე როგორც მუშაობის სხვა უბნებზე, გარკვეული უარყოფითი გავლენა მოახდინა ხმაურისმოყვარული, კარიერისტი მგელაძისა და მისი დამქაშის — პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ყოფილი მდივნის ვ. ბალავაძის მუშაობის მანკიერმა სტილმა. ვ. ბალავაძე პარტიული ხელმძღვანელობის მეთოდებს ცვლიდა შიშველი ადმინისტრირებით, მუშაკთა დაშინებით, მუქარით, მოხსნით. ასრულებდნენ რა ვ. ბალავაძის „მითითებებს“, პარტიის რაიონულ კომიტეტში ყოველთვის ღრმად არ სწავლობდნენ ამა თუ იმ საწარმოს ჩამორჩენის მიზეზებს, ქმედით ღონისძიებებს არ ახორციელებდნენ ამ ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად.

საწარმოებში ტექნიკური პროცესების გაუმჯობესებისათვის, შრომატევად სამუშაოთა გაადვილებისათვის, ახალი ტექნიკისა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სამეცნიერო დაწესებულებათა მჭიდრო ურთიერთობასა და კავშირს სამრეწველო საწარმოებთან. ამ მხრივ რაიონში ძალიან ცოტა რამ კეთდება.

მასებში პოლიტიკური მუშაობა პარტიული ორგანიზაციების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა. მომხსენებელმა, მოიყვანა რა საagიტაციო-მასობრივი მუშაობის დადებითი ფაქტები, ხაზი გაუსვა აგრეთვე სერიოზულ ნაკლოვანებებს ამ უბანზე, რაც სამართლიანად ახსნა პარტიის რაიონული კომიტეტის და კერძოდ მისი პროპაგანდისა და agიტაციის განყოფილების სუსტი ხელმძღვანელობით.

რაიონში მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და დაწესებულებებია. მაგრამ სუსტად დგას ახალგაზრდა მეცნიერული კადრების მომზადების საქმე, წლობით ჭიანურდება სამეცნიერო ხარისხის დაცვა. კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ასპირანტურაში 1946-1949 წლებში მიღებული 34 კაციდან დისერტაცია დაიცვა მხოლოდ რვამ.

როგორც ეს კონფერენციაზე აღინიშნა, რაიონის შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობაში მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებებია. თბილისის კინოსტუდიამ, რომელიც ერთ დროს დამსახურებული სახელით სარგებლობდა და ბევრი ღირსშესანიშნავი კინოფილმი შექმნა, დიდი ხანია მნიშვნელოვანი ვერაფერი მისცა კინომაყურებელს. ამაზე ილაპარაკეს კინორეჟისორმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ს. დოლიძემ და კინოსტუდიის პარტბიუროს მდივანმა ვ. გახოკიძემ. მათ ამასთანავე გააკრიტიკეს პარტიის რაიონული კომიტეტი, რომელიც სათანადოდ არ ეხმარებოდა შემოქმედებითს ორგანიზაციებს და მათს პარტიულ ორგანიზაციებს.

კარიერისტ მგელაძის მუშაობის მანკიერმა სტილმა და პატივმოყვარეობამ გავლენა მოახდინა მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის შემოქმედებით მუშაობაზეც. მაგალითად, მისი ინიციატივით თეატრს თავუ მოახვიეს იდეოლოგიურად გაუმართლებელი პიესა „ამხანაგი გიორგი“. თეატრის კოლექტივი, გრძნობდა რა პიესის მანკიერებას, ყოველნაირად აჭიანურებდა მის დადგმას. პარტიის რაიონული კომიტეტი ვერ დაეხმარა თეატრს. ნაცვლად იმისა, რომ პიესისათვის მიეცა პრინციპული პარტიული შეფასება, პარტიის რაიონულმა კომიტეტმა თავი აარიდა ამ საკითხს.

სიტყვით გამოსული დელეგატების ერთმა ნაწილმა სამართლიანად გააკრიტიკა პარტიის რაიონული კომიტეტი პირველადი ორგანიზაციებისადმი არასაკმაო ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის. კერძოდ, ამაზე ილაპარაკა თამბაქოს № 2 ფაბრიკის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ვ. ართილაყვამ. არტელ „კულტგალანტერიის“ გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. კაზანოვმა რაიკომს მართებულად უსაყვედურა მცირერიცხოვანი ორგანიზაციებისადმი არადამაკმაყოფილებელი დახმარებისა და ყურადღებისათვის. ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს უფროსმა ამხ. გ. სიხარულიძემ გააკრიტიკა პარტიის რაიკომის მუშაობა. რაიკომის ზოგი წევრი გადატვირთული იყო დავალებებით, ხოლო ზოგი სუსტად მონაწილეობდა მუშაობაში, გარდა ამისა, ბიუროს სხდომები გრძელდებოდა დიდხანს, რაც არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორმა ამხ. ი. გვინჩიძემ ილაპარაკა იმაზე, თუ რა მავნე გავლენას ახდენდა თეატრების მუშაობაზე ის მანკიერი სტილი, რაც დანერგეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის უოფილმა მდივნებმა კ. ჩარკვიანმა და ა. მგელაძემ.

კონფერენცია ჩატარდა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით.

კონფერენციამ მიიღო სათანადო გადაწყვეტილება და აირჩია პარტიის რაიონული კომიტეტის, სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და თბილისის საქალაქო პარტიული კონფერენციის დელეგატები.

* * *

რაიკომის პლენუმმა საქართველოს კ. პ. თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. პეტრიაშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ვ. ჯავახიშვილი, მდივნად — ამხ. ე. ალანია.

ორგანიზაციული მუშაობა — ახალი ამოცანების სიმაღლეზე

თბილისის 26 კომისრის რაიონის პარტიული კონფერენცია

რაიონული კომიტეტის ბიუროს სხდომები გვიან ღამემდე გრძელდება. საღამოს რვის ნახევრისათვის გამოძახებულ პირველადი პარტორგანიზაციების მდივნებს ზოგჯერ ღამის ორ საათამდე უხდებათ ცდა... განსახილველი საკითხები არ არის გულდასმით და ყოველმხრივ მომზადებული, ხოლო ბიუროს სხდომები — კარგად ორგანიზებული. კომუნისტებმა არაერთხელ გააკრიტიკეს რაიკომი ამისათვის, მაგრამ რაიკომის მდივანმა ამხ. გოშაძემ ყურად არ იღო ეს კრიტიკა. ამის შესახებ ილაპარაკა თბილისის 26 კომისრის რაიონულ პარტიულ კონფერენციაზე ამხ. შ. ჯაფარიძემ.

ამ მხრივ არც ეს კონფერენცია იყო გამონაკლისი. მან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ რაიკომში ნაკლებად სცემენ პატივს დისციპლინას, ორგანიზებულობას. რომ არაფერი ვთქვათ კონფერენციის დაგვიანებით დაწყებაზე, რისთვის იყო საჭირო რეგლამენტის დაწესება — თუ კი მას არ დაიცავდნენ. რეგლამენტის დარღვევის პირველი მაგალითი უჩვენა თვით მომხსენებელმა რაიკომის მდივანმა ამხ. გ. გოშაძემ, რომელმაც საანგარიშო მოხსენება მნიშვნელოვანი დაგვიანებით დაამთავრა.

კონფერენცია უფრო მეტად სამეურნეო მუშაკთა თათბირს წააგავდა, ვიდრე პარტიულ კონფერენციას. ყურადღების ცენტრში პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა კი არ იყო, არამედ რაიონის სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობა.

მართალია, 26 კომისრის რაიონი დედაქალაქის ერთ-ერთი წამყვანი სამრეწველო რაიონია, მისი მრეწველობის, ტრანსპორტისა და საამშენებლო ორგანიზაციათა კოლექტივებს მეხუთე ხუთწლედის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივების შესრულებისათვის ბრძოლაში გარკვეული წარმატებებიც აქვთ მოპოვებული, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მომხსენებელი და მოკამათეები მხოლოდ მათს სამეურნეო საქმიანობაზე შეჩერებულიყვნენ. სამწუხაროდ, ასე იქცეოდნენ არა მარტო მომხსენებელი და სხვა საბჭოთა სამეურნეო მუშაკები, არამედ პარტიული ორგანიზაციების მდივნებიც კი, რომელთაც უხვად მოჰყავდათ მრავალი ციფრი შრომის ნაყოფიერების ზრდის, თვითღირებულების შემცირების, ეკონომიისა და სხვა მაჩვენებლების შესახებ, პარტიულ მუშაობას კი გაკვრით ეხებოდნენ.

ზოგიერთი მოკამათე რაიონული კომიტეტის მუშაობის ღრმა ანალიზის ნაცვლად, სერიოზულ ნაკლოვანებათა მხილების ნაცვლად კონფერენციას თავისი ორგანიზაციის საქმიანობის ანგარიშს აბარებდა. ასე მოიქცა, მაგალითად, ქალაქის პირველი საავადმყოფოს პარტბიუროს მდივანი ამხ. ბ. ჩაჩხიანი, რომელმაც გამოსვლა იმით დაიწყო, თუ რამდენი ჰექტარი ტერიტორია უკავია საავადმყოფოს, რამდენი კორპუსი და რამდენი განყოფილება აქვს. ოცწუთიან გამოსვლაში ბ. ჩაჩხიანი მხოლოდ ზერელედ შეეხო რაიკომის მუშაობას.

კონფერენციის დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და თბილისის კომიტეტის, მათი ყოფილი მდივნების კარიერისტ ა. მგელაძისა და ვ. ბალავაძის მუშაობის მანკიერი სტილი, რამაც თავისებური გამოხატულება ჰპოვა 26 კომისრის რაიკომის მუშაობაშიც. მოკამათეებს მოჰყავდათ იმის დამადასტურებელი მრავალი ფაქტი, თუ მგელაძე და ბალავაძე როგორ მიმართავდნენ პარტიული ხელმძღვანელი მუშაკისათვის შეუფერებელ, საბჭოთა მოქალაქისათვის უცხო მეთოდს — დაშინებას, ლანძღვა-გინებას.

— ქართველმა ხალხმა სიხარულით გაიგო, — თქვა მარგარინის ქარხნის დირექტორმა ამხ. კ. მოისწრაფიშვილმა, — რომ არავითარი ეგრეთწოდებული ნაციონალისტური ჯგუფი არ არსებობს საქართველოში, და რომ ეს, როგორც ახლა გამორკვეულია, ანგარებითი მიზნებისათვის შეთითხნეს პარტიისა და ხალხის მტერმა ნ. რუხაძემ და კარიერისტმა ა. მგელაძემ.

ამხ. მოისწრაფიშვილმა განაცხადა: ვ. ბალავაძე ხშირად სამეურნეო ხელმძღვანელებისაგან მოითხოვდა იმის გაკეთებას, რაც ეს შეუძლებელი იყო. ერთხელ, მაგალითად, შეურაცხყოფა მომაყენა იმისათვის, — თქვა მან, — რომ მარგარინისათვის საჭირო 1.300 ტონა ნედლეული თვითმფრინავით რატომ არ გადმოვზიდე.

კონფერენციის მონაწილეებმა გააკრიტიკეს რაიონული კომიტეტის მდივნები და განყოფილებების მუშაკები იმისათვის, რომ ისინი ახლოს არ დგანან პარტიულ მასებთან, ქმედითსა და საქმიან დახმარებას ვერ უწევენ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს. ბევრი თქვა იმის შესახებ, რომ რაიკომში დიდხანს ჭიანურდება პარტიაში მისაღებთა საქმეების განხილვა. მრავალი საყვედური გამოთქვა პროპაგანდის განყოფილების გამგის ამხ. გერასიმიას არადამაკმაყოფილებელი მუშაობის გამო.

რაიონში ჯერ კიდევ სუსტად მიმდინარეობს ქუჩების, მოედნების კეთილმოწყობა, ბევრგან გაყვანილი არ არის წყალსადენი, კანალიზაცია. მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებასა და მუშათა დასახლებული უბნების კეთილმოწყობაზე ნაკლები მზრუნველობისათვის დელეგატებმა მკაცრად გააკრიტიკეს, როგორც რაიონული კომიტეტი, ისე რაისაბჭოს და საქალაქო საბჭოს აღმასკომები.

კონფერენციამ აირჩია რაიკომისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა და თბილისის საქალაქო ორგანიზაციის პარტიული კონფერენციის დელეგატები.

* * *

გაიმართა 26 კომისრის რაიკომის პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ს. ჩხარტიშვილი, მეორე მდივნად — ამხ. ა. აზიროვი, მდივნად — ამხ. თ. მოსაშვილი.

გაუბედავი, მოკრძალებული კრიტიკა

ჭიათურის რაიონის პარტიული კონფერენცია

საქართველოს კომპარტიის ჭიათურის რაიონული ორგანიზაციის კონფერენციაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა რაიკომის მდივანმა ამხ. პ. აბესაძემ.

მომხსენებელმა სამეურნეო საკითხებით დაიწყო. რაიონის კოლმეურნეობებში დაბალია მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა. დაბალი იყო მეევნახეობისა და მეხილეობის მოსავალიც. მიმდინარე წელს გაჭიანურდა საგაზაფხულო სამუშაოები. 10 მაისისათვის საგაზაფხულო თესვის გეგმა სანახევროდაც არ იყო შესრულებული.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციები მოკლებული არიან რაიკომის კონკრეტულ ხელმძღვანელობას. ისინი ღრმად ვერ სწვდებიან სოფლის მეურნეობის ეკონომიკას. რაიკომის მუშაკები ხშირად დადიან სოფლებში. ისინი თითქოს ყველაფერს აკეთებენ — ზრუნავენ თესვაზეც, მოსავლის აღებაზეც, დამზადებათა გეგმების შესრულებაზეც, მაგრამ ავიწყდებათ ძირითადი — პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. ხშირად რაიკომის მუშაკები კოლმეურნეობაში რამდენიმე დღეს რჩებიან, მაგრამ ერთხელაც არ ინახულებენ პარტორგანიზაციის მდივანს, არ ესაუბრებიან მას პარტიული მუშაობის საკითხებზე, არ აძლევენ რჩევა-დარიგებას. ასეთ წვრილმან მეურვეობას ეწევიან, მაგალითად, რაიკომის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისა და სოფლის მეურნეობის განყოფილებების (გამგეები ზ. ვაშაძე და მ. მერმანიშვილი) მუშაკები.

რაიონში სუსტად არის დაყენებული სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა. რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება (გამგე ა. ბუხრაშვილი) სუსტად ხელმძღვანელობს მასების პოლიტიკურ აღზრდას, მოწყვეტილია საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციებს.

სერიოზული ნაკლოვანებები აქვთ კომკავშირულ ორგანიზაციებსაც. კომკავშირელთა პოლიტიკური სწავლების დაბალი დონე იმითაც აიხსნება, რომ კომკავშირის რაიკომს ექვსი თვეა არა ჰყავს მეორე მდივანი.

მომხსენებლის თქმით, რაიკომი თითქოს გულმოდგინედ მუშაობს კადრების შერჩევის, აღზრდისა და დაწინაურებისათვის. მან გაკვრით აღნიშნა ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებანი, მაგრამ გაცილებით მეტი იყო სათქმელი. მომხსენებელმა რატომღაც თითქმის არაფერი არა თქვა საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საოლქო კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელობის მანკიერ სტილზე, რომელმაც გავლენა იქონია ჭიათურის რაიონზეც. საოლქო კომიტეტის ბრიგადა თვეობით აგრძელებდა ჭიათურის რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკის „შესწავლას“, დადგენილებანიც ვრცელი გამოჰქონდა, მაგრამ მათ რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

მოხსენების გამო კამათში გამოვიდა 14 ამხანაგი. მათ შორის მხოლოდ ერთი იყო პარტბიუროს მდივანი (ალ. გაფრინდაშვილი). მან გაკვრით და ზერელედ ილაპარაკა პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებზე. დანარჩენი მოკამათეები ძირითადად სამეურნეო საქმიანობაზე ლაპარაკობდნენ და არაფერს ამბობდნენ რაიკომის სერიოზულ ნაკლოვანებებზე. გამოსულმა ამხანაგებმა ვერ გაბედეს კრიტიკა რაიკომის მისამართით, რაც კონფერენციის სერიოზული ნაკლია. გამონაკლისს წარმოადგენდა რაიონული გაზეთის რედაქტორის ამხ. ჯ. თოდრიას და კომკავშირის რაიკომის მდივნის ამხ. პ. კუპატაძის გამოსვლები.

* * *

გაიმართა ახლადარჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც საქართველოს კომპარტიის ჭიათურის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. პ. აბესაძე, მეორე მდივნად — ამხ. ა. კუპატაძე, ხოლო მდივნად — ამხ. გ. გაფრინდაშვილი.

ტყიბულის მარმარილო — მშენებლებს

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ლოპოტის მარმარილოს მაღაროკაკავასირონის ქედის იმ კალთაზეა, რომელსაც „წოპის გორას“ ეძახიან. მეუნელებელი ტემპით მუშაობენ მარმარილოს მომპოვებლები. მექანიზმებმა, მძლავრმა საბჭოთა ტექნიკამ გაუადვილა მათ საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულება. განსაკუთრებით მძლავრი შრომითი აღმავლობაა ლოპოტის მარმარილოს ამოღებაზე მომუშავეთა შორის ახლა, საქართველოს კომპარტიის XVI ყრილობისათვის მზადების დღეებში.

მაღაროს კოლექტივმა 10 მაისისათვის 80 კუბმეტრის ნაცვლად 110 კუბმეტრი მარმარილო გაუგზავნა თბილისს ქარხანას, რომელიც გადამუშავებულ მარმარილოს სისტემატურად უგზავნის მოსკოვს, ლენინგრადს და ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქების მშენებლებს. ქვისმთლელები გ. კირვალიძე, ტ. ელოშვილი, ბ. ჩაბაკური, შ. დიბროვი, მ. დაუდოვი და სხვები ყოველდღიურ დავალებას 120-150 პროცენტით ასრულებენ.

თავდადებულად მუშაობენ და გადაჭარბებით ასრულებენ მარმარილოს ლოდების გამოზიდვის გეგმებს ავტომანქანათა მძღოლები ვ. მამალაშვილი, გ. მახათელაშვილი, რ. ხვედელიანი და ი. ოთარაშვილი.

„წოპის გორაზე“ მარმარილოს მოპოვება სულ უფრო ძლიერდება. მაღაროელებს გადაწყვეტილი აქვთ პარტიის XVI ყრილობის გახსნას თვიური გეგმის შესრულებით შეხვდნენ.

ამრავლებენ საპირველმაისო წარმატებებს

ბათუმი. („კომუნისტის“ კორ.). ბათუმის მრავალმა საწარმომ სასახელოდ შეასრულა საპრეველმაისო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულებანი.

„გლავნეფტესბიტის“ ბათუმის სამმართველოს კოლექტივმა ნავთობპროდუქტების დატვირთვა-გადმოტვირთვის 4 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, გეგმასთან შედარებით 20,6 პროცენტით შეამცირა ნავთობპროდუქტების დანაკარგები, დაზოგა 490 ვაგონსაათი და 70 გემსაათი.

შრომის მოწინავე, ჩქაროსნული მეთოდების გამოყენებით საუკეთესო მაჩვენებლებს მიაღწია მეორე საწარმოო უბნის (გამგე შ. ჭანტურია) კოლექტივმა, რომელმაც აპრილის დავალება 141,8 პროცენტით შეასრულა.

განსაკუთრებით ნაყოფიერად შრომობენ ბრიგადები, რომლებსაც ი. ჩაჩუა, რ. მგზავრიძე და ბ. ნიკონეცი ხელმძღვანელობენ. დიდ წარმატებას აღწევს უფროსი ოპერატორის ჯ. შაქარიშვილის ცვლა, რომელმაც აპრილის დავალება 141 პროცენტით შეასრულა და მტკიცედ ფლობს საქარხნო კომიტეტის საბრიგადათაშორისო გარდამავალ დროშას.

მეოთხე საწარმოო უბანში შეჯიბრებაში დაწინაურდნენ მ. წითელაძის, ა. შაგოიანისა და ვ. ვართანოვის ბრიგადები, რომელთა დაუღალავი შრომით მნიშვნელოვანწილად აიხსნება უბნის წარმატება.

კიდევ უფრო გააძლიერეს მუშაობის ტემპი ბათუმელმა კონდიტრებმა მაისში. პირველ დეკადაში გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 8 ტონა საკონდიტრო ნაწარმი. სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ა. დოლიძის, მ. მელქონიანის, გ. კვახაძის, ბ. ნალბანდიანის და შ. ფირცხალავას ბრიგადები.

წარმატებით მუშაობენ მაისში სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი, მომთუთიებელი, გემშემკეთებელი და ფანერის ქარხნების, თამბაქოს ფაბრიკისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებიც.

ყველა კულტურის უხვი მოსავლისათვის

ლაგოდეხი. (სპეც. კორ.). ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობაში შემოდგომის ნათესს 746 ჰექტარი უკავია. ჯეჯილის გამოკვების მიზნით ამ გაზაფხულზე უკვე შეიტანეს 515 ტონა ორგანული სასუქი, დროულად დაფარცხეს და გამარგლეს ნათესები.

კოლმეურნეობაში დათესილია აგრეთვე 115 ჰექტარი სიმინდი და 9 ჰექტარი მზესუმზირა. გაჩაღებულია თამბაქოს რგვა. წელს უნდა დარგონ 75 ჰექტარი თამბაქო. უკვე დარგეს 52 ჰექტარზე მეტი. ამ საქმეში დაწინაურდნენ ბრიგადები, რომლებსაც ვ. ჭუმბურიძე, გ. გაბრიჭიძე, ი. ბოლოტაევი ხელმძღვანელობენ. თამბაქოს რგვის ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ანაღდებენ სტახანოველები ლიდა იობაშვილი, თამარ აფოზიანცი, რაიონული საბჭოს დეპუტატი ვ. აბრამიშვილი და სხვები.

პურეული კოლხიდის დაბლობში

ცხაკაია. („კომუნისტის“ კორ.). ლიმმანტრესტის ტეხურის საბჭოთა მეურნეობამ, რომლის მიწის ფართობები მდებარეობს ეგრეთწოდებულ „ნაოჩუს“ დაბლობში, შარშან შემოდგომაზე დათესა 15 ჰექტარი პურეული, აქედან 10 ჰექტარი ჭვავი.

ასეთ დაბლობში პურეულის მოსავლის მოყვანის ცდა არც ისე ხშირია. ჯეჯილი უნაკლოა. გათვალისწინებულია წელს პურეულის ნათესს დაეთმოს უფრო მეტი ფართობი.

მშვიდობის პაქტისათვის!

ალბანეთის მთავრობის პასუხი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის წერილზე

ტირანა, 12 მაისი. (საკდესი). ალბანეთის დეპეშათა სააგენტო გადმოგცემს:

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ და საგარეო საქმეთა მინისტრმა ენვერ ხოჯამ ბატონებს ფრედერიკ ჟოლიო-კიურის, პიეტრო ნენისა და იოზეფ ვირტს შემდეგი წერილი გაუგზავნა:

„ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ განიხილა მიმართვა, რომელიც ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს გამოუგზავნა 1952 წლის დეკემბერს ვენაში გამართული ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიამ, რითაც ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას მოუწოდებს მხარი დაუჭიროს ამერიკის შეერთებული შტატების, საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებისადმი მიმართულ კონგრესის წინადადებას მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა აცხადებს შემდეგს:

ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სრულ სოლიდარობას უცხადებს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვას და იწონებს წინადადებას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, რადგან ეს სავსებით შეესაბამება მის საშვიდობო პოლიტიკას, მსოფლიოს ყველა ხალხთან მეგობრობისა და თანამშრომლობის პოლიტიკას, რაც დამყარებულია ხალხთა თანასწორუფლებიანობასა და ყველა ქვეყნის ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემაზე.

მშვიდობის პაქტის დადების შესახებ მიმართვაზე ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მოქალაქეთა 865.885 ხელმოწერა და 1951 წლის 10 იანვარს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების მიერ მიღებული მშვიდობის დაცვის კანონი საუკეთესოდ გამოხატავენ ალბანელი ხალხის მისწრაფებას და მშვიდობის მჯზნებარე ერთსულოვან სურვილს. ამ სურვილს ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა სავსებით უჭერს მხარს და მზად არის ბოლომდე დაიცვას იგი".

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პასუხი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის წერილზე

ფხენიანი, 12 მაისი. (საკდესი). კორეის ცენტრალურმა დეპეშათა სააგენტომ დღეს გამოაქვეყნა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის შემდეგი პასუხი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის წერილზე:

ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიას: ფრედერიკ ჟოლიო-კიურის (საფრანგეთი), იოზეფ ვირტს (გერმანია), პიეტრო ნენის (იტალია), იზაბელა ბლუმს (ბელგია), გენერალ ბუქლბაუმს (ბრაზილია), ჩენ შენ-იუს (ჩინეთი), პიერ კოტს (საფრანგეთი), ნიკოლოზ ტიხონოვს (სსრ კავშირი), ილია ერენბურგს (სსრ კავშირი), პასტორ ენდიკოტს (კანადა), მონიკა ფელტონს (ინგლისი), პასტორ ფორბეკს (ნორვეგია), ივაშკევიჩს (პოლონეთი), გენერალ ხარას (მექსიკა), გორო ხანის (იაპონია), კიტჩლუს (ინდოეთი), მაო დუნს (ჩინეთი), მა ინ-ჩუს (ჩინეთი), სეზა ნაბრავის (ეგიპტე), ჯუზეპე ნიტის (იტალია).

პატივცემულო ბატონებო! კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ადასტურებს, რომ მიიღო ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის კომისიის მიერ გამოგზავნილი წერილი ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესზე 1952 წლის დეკემბერში მიღებული მიმართვით, რომელშიც წამოყენებულია წინადადება — მოუწყოს მოლაპარაკება საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობებს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მხარს უჭერს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მიმართვას, რომელიც მოუწოდებს დაიდოს მშვიდობის პაქტი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის, მიიჩნია რა, რომ თუ საბჭოთა კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მთავრობები უარყოფენ ძალის გამოყენებას, როგორც საერთაშორისო კონფლიქტების გადაჭრის საშუალებას და თუ დაიდება მშვიდობის პაქტი ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის, ამით ლიკვიდირებული იქნება საერთაშორისო დაძაბულობა და უნდობლობა საერთაშორისო ურთიერთობაში, რის შედეგად შენარჩუნებულ იქნება და განმტკიცდება საყოველთაო მშვიდობა და უშიშროება, რაც სწყურია კეთილი ნების ყველა ადამიანს.

წინადადება ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების მესახებ საკითხებზე ეთანხმება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას, რომელიც მხარს უჭერს ყველა ხალხის თანასწორუფლებიანობას, მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას, სხვა ქვეყნების ეროვნული დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემას, შეესაბამება მთელი კორეელი ხალხის ნებას, რომელიც იბრძვის თავისი საშშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელიც ახორციელებს თავის თანმიმდევრულ საშშვიდობო პოლიტიკას და სწამს, რომ შესაძლებელია სხვადასხვა რეჟიმის ქვეყნების თანაარსებობა, მხარი დაუჭირა ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის რეზოლუციებს, მათ შორის მიმართვას მშვიდობის პაქტის დადების შესახებ, და კვლავ დიდ ღონისძიებებს ხმარობს კორეის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის მიზნით. 7.047 ათასზე მეტმა კორეელმა მოქალაქემ მოაწერა ხელი მშვიდობის მსოფლიო საბჭოს მიმართვას ხუთ დიდ სახელმწიფოს შორის მშვიდობის პაქტის დადების შესახებ. 1950 წლის მარტში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესმა სახალხო კრებამ მიიღო გადაწყვეტილება მშვიდობის დაცვის შესახებ. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა დარწმუნებულია, რომ არ არსებობს ისეთი სადავო ან გადაუჭრელი საკითხი, რომლის მშვიდობიანი გზით გადაჭრა არ შეიძლებოდეს დაინტერესებულ მხარეებს შორის შეთანხმების საფუძველზე, და მიიჩნია, რომ ყველა საერთაშორისო კონფლიქტი, მათ შორის კორეის საკითხი, უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი შეთანხმების გზით.

კორეელი ხალხი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად ბოლომდე განაგრძობს ბრძოლას მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე КИМ ИР СЕНИ.

1953 წლის 11 მაისი. ფხენიანი.

მშვიდობის მომხრეთა კონფერენცია ჯორონგოში

ოტავა, 13 მაისი. (საკდესი). 10 მაისს ტორონტოში მასობრივი მიტინგით, რომელსაც დაესწრო 1.200-მდე კაცი, დამთავრდა კანადის მშვიდობის მომხრეთა ორდღიანი კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 700-დე დელეგატმა, რომელთა შორის იყო პროფკავშირთა 51 წარმომადგენელი.

საერთო სხდომის შემდეგ კონფერენციის მონაწილენი დაიყვნენ 3 ჯგუფად, რათა უფრო გულდასმით განიხილათ დღის წესრიგი, რომელშიც შედიოდა სამი საკითხი: ა) როგორ იქნას შეწყვეტილი „ცივი ომი"; ბ) როგორ იქნას განმტკიცებული გაერთიანებული ერების ორგანიზაცია; გ) როგორ იქნას უზრუნველყოფილი კანადის უშიშროება.

თვითეული ჯგუფის სხდომებზე შემუშავებულ იქნა რეზოლუციები თვითეულ საკითხზე. ეს რეზოლუციები შემდეგ განიხილეს და მიიღეს კონფერენციის გაერთიანებულ სხდომაზე.

პირველ საკითხზე კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ომი კორეაში, კანადის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღონ კორეის საზავო მოლაპარაკებაში და განხორციელდეს ეროვნული დამოუკიდებლობისა და სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

რეზოლუციაში მეორე საკითხზე მშვიდობის შენარჩუნების ძირითად პირობად დასახულია ხუთი დიდი სახელმწიფოს ერთხმივობის პრინციპი და აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მიღებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

რეზოლუციაში მესამე საკითხზე, კერძოდ, ნათქვამია: „კანადის მამხრობა გამალებული შეიარაღებისა და ცივი ომის პოლიტიკისადმი საფრთხეს უქმნის მის უშიშროებას. კანადის უშიშროების უზრუნველყოფის ერთადერთი გზაა მშვიდობის შენარჩუნების გზა".

საბოლოო მიტინგზე გამოვიდნენ ევა სანდერსონი, ცნობილი კანადელი მწერალი ჟან ჟიულ რიშარი და დოქტორი ენდიკოტი. ევა სანდერსონმა პროტესტი განაცხადა კანადის ხელისუფალთა მოქმედების წინააღმდეგ, რომლებმაც მონიკა ფელტონს აუკრძალეს კანადაში ჩამოსვლა. მიტინგზე ერთსულოვნად მიღებულ იქნა ენდიკოტის მიერ წარდგენილი რეზოლუცია, რომელიც კანადის მთავრობას მოუწოდებს დადებითად გამოეხმაუროს ხალხთა მშვიდობის დაცვის კონგრესის მოწოდებას. შეეცადოს, რომ ხუთი დიდი სახელმწიფოს წარმომადგენელნი ერთმანეთს შეხვდნენ მშვიდობის პაქტის დასადებად და მოითხოვოს ომის დაუყოვნებლივ შეწყვეტა კორეაში.

პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის გამოსვლა ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 11 მაისი. (საკდესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს:

უინსტონ ჩერჩილმა, რომელიც პრემიერ-მინისტრის მოვალეობასთან ერთად იდენის ავადმყოფობის დროს საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობას ასრულებს, დღეს თემთა პალატაში გააკეთა მოხსენება საგარეო პოლიტიკის შესახებ.

ჩერჩილმა გახსნა ორი დღის კამათი თემთა პალატაში საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. კამათი ორჯერ გადაიდო იმის გამო, რომ ჩერჩილი მზად არ იყო გამოსვლისათვის.

ჯერჯერობით ლეიბორისტული ოპოზიცია არ აპირებს სადავოდ გახადოს მთავრობის საგარეო პოლიტიკა. ამიტომ კამათი ალბათ კენჭის უყრელად დამთავრდება.

ჩერჩილმა თავისი სიტყვა იმით დაიწყო, რომ განაცხადა: იდენი, რომელსაც ორჯერ გუკეთეს ოპერაცია, რამდენიმე თვეს ვერ იმუშავებს. მან აგრეთვე განაცხადა, რომ განაგრძობს იდენის მოვალეობის შესრულებას საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრის სელვინ ლოიდისა და საგარეო საქმეთა მინისტრის ორი მოადგილის დახმარებით. „ხოლო თუ მივიჩნევ, რომ ეს მეტისმეტი დატვირთვაა, დახმარებას ვითხოვ", — დასძინა ჩერჩილმა.

„საგარეო პოლიტიკის საქმეების ცოდნა, — განაგრძო ჩერჩილმა, — შეძენილი მაქვს უმთავრესად არა წიგნებით ან დოკუმენტებით, არამედ პირადი გამოცდილებით ამ დარგში ხანგრძლივი დროის მანძილზე".

ჩერჩილმა საგარეო პოლიტიკის მიმოხილვა დაიწყო კორეით. მან განაცხადა: „ჩვენი უახლესი მიზანია, რა თქმა უნდა, კორეაში დროებითი ზავის დადება. ამ მომენტში დაზავებით თუ ცეცხლის შეწყვეტითაც კი მეტად კმაყოფილი ვიქნებოდი".

ჩერჩილმა აზრი გამოთქვა, რომ საჭირო მოთმინებითა და თანაგრძნობით იქნას განხილული კომუნისტთა ახალი წინადადება იმის შესახებ, რომ ხუთმა სახელმწიფომ იკისროს ამოცანა — „სათანადოდ" იზრუნოს იმ დარჩენილი 40 თუ 50 ათასი კორეელი ტყვისათვის, რომლებსაც ეშინიათ სამშობლოში დაბრუნებისა.

კომუნისტთა უკანასკნელი წინადადებების შესახებ ჩერჩილმა განაცხადა: „საჭირო არ არის იქიდან გამოვიდოდეთ, რომ არ შეიძლება ეს წინადადებანი შეთანხმების საფუძველი გახდეს".

ინდოჩინეთის შესახებ ჩერჩილმა განაცხადა, რომ უკანასკნელ რამდენიმე კვირაში დიდი შეშფოთებით აფევნებდნენ თვალყურს იქ გაუარესებულ მდგომარეობას, მაგრამ მას ახარებს შესაძლებლობა განაცხადოს, რომ ჯერჯერობით, რამდენადაც შეიძლება მსჯელობა მის განკარგულებაში არსებული ცნობების მიხედვით, მდგომარეობა არც ისე ცუდია, როგორც ერთ დროს ფიქრობდნენ.

ფრანგების მიერ მიღებულ ღონისძიებათა შედეგად, აგრეთვე წვიმების სეზონის დადგომის გამო, შესაძლებელია, ჩამოვარდეს სიწყნარე რამდენიმე თვის მანძილზე. „ჩემი აზრით, — განაცხადა ჩერჩილმა, — ვიეტმინის ჯარების ნაწილების უეცარმა წინსვლამ სიამის საზღვრისაკენ არ უნდა გვაიძულოს გავაკეთოდ დასკვნა, რომ საქმე ეხება საბჭოების მიერ ინსპირირებულ ღონისძიებას, რომელიც შეუფთხვსებელია საბჭოთა მთავრობის ახალ პოზიციასთან".

ჩერჩილმა განაგრძო: „სამწუხაროდ, შეიძლება აღმოჩნდეს, რომ ეს ასეა. მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ ეს გამოწვეული იყოს ადგილობრივი გარემოებებით და გამომდინარეობდეს ამ რამდენიმე თვის წინათ შემუშავებული გეგმებიდან, რომლებიც, შესაძლოა, ახლა შეიცვალა.

ყოველ შემთხვევაში არ უნდა ვიჩქაროთ გამოვიტანოთ არაკეთილსასურველი დასკვნები".

გადავიდა რა ეგიპტეზე, ჩერჩილმა განაცხადა, რომ სპარსეთში აბადანის ნავთობსარეწების ეროვნიზაციის რამდენიმე კვირის შემდეგ ეგიპტის მთავრობამ განაცხადა, რომ ცალმხრივად გაუქმებს ინგლის-ეგიპტის 1936 წლის ხელშეკრულებას, „რომელიც ძალაში რჩება, ყოველ შემთხვევაში, 1956 წლამდე".

სავსებით შესაძლებელია, განაგრძო ჩერჩილმა, „რომ მათ ვერ შეუგნიათ, თუ რა სუსტ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან იურიდიულად ამ აქციის შედეგად, საერთაშორისო ურთიერთობისა და უბრალო რიგიანობის თვალსაზრისით.

ჩვენ, უეჭველია, ვინარჩუნებთ იმ იურიდიულ უპირატესობებს, რომლებიც აქვს იმ ქვეყანას, რომელიც მის მიმართ არაკეთილსინდისიერებას გამოჩენით დაზარალდა.

გაიხსენა რა გენერალ ნაგიბისა და მისი თანამებრძოლი სამხედრო პირების მიერ მეფე ფარუკის განდევნა, ჩერჩილმა თქვა, რომ გენერალი ნაგიბი ეგიპტის დიქტატორი გახდა ან იგი ასეთი გახადეს ყოველგვარი საარჩევნო პროცედურის მოუხდენლად.

მან თქვა: „დიქტატურის ერთ-ერთი არახელსაყრელი მხარე ის არის, რომ დიქტატორი ხშირად ემორჩილება სხვების დიქტატს. და ის, რასაც იგი სხვების მიმართ სჩადის, შეიძლება ჩადენილ იქნას მის მიმართაც".

ჩერჩილმა თქვა, რომ ეგიპტეში დადგა დაძაბულობის პერიოდი, რომელიც დიქტატორმა და მისმა თანამებრძოლებმა ხელსაყრელად თუ საჭიროდ მიიჩნიეს იმისათვის, რომ უზრუნველყონ თავიანთთვის მაქსიმალური პოპულარობა.

კარგად ცნობილი ხერხის დახმარებით — „კაპიტალი შეიძინონ ინგლისელთა ხარჯზე".

გასული წლის ნოემბერში გენერალმა ნაგიბმა და კაიროში მმართველმა ხროვამ წინადადება მისცეს ინგლისს დაეწყო მათთან მოლაპარაკება არხის ზონიდან და „იმ მეტად მნიშვნელოვანი და ძვირად ღირებული ბაზიდან, რომელიც იქ მთლიანად ჩვენს ხარჯზე შეიქმნა", ინგლისელთა ევაკუაციის შესახებ.

ჩერჩილმა თქვა, რომ ინგლისი ასრულებდა იმ მოვალეობას, რომელიც უკისრებდა უმთავრესად მას, და მარტო მას, და რომელიც წარმოადგენდა შუა აღმოსავლეთის თავისუფალი ქვეყნების ინტერესთა დაცვას.

მან დასძინა: „თუ შესაძლებელი გახდა ისეთი მისაღები შეთანხმების მიღწევა, რომელიც სან შუალებას მოგვცემს შევასრულოთ ეს ამოცანა და საიმედოდ გავუწიოთ მომსახურება სტრატეგიულ ბაზას ეგიპტესთან შეთანხმების საფუძველზე, ეს მოგვცემს ჩვენი ადამიანთა რესურსებისა და ფულის უდიდეს ეკონომიას.

ეს სრულიადაც არ არის ინგლისელთა იმპერიალისტური თუ კოლონიური ღონისძიება; ეს კეთდება იმ მიზნით, რომლითაც უშუალოდ დაინტერესებულია ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის ყოველი წევრი ნორდკაპიდან კავკასიამდე, აგრეთვე აღმოსავლეთისა და შუა აღმოსავლეთის ქვეყნები".

შემდეგ ჩერჩილი გადავიდა გერმანიის საკითხზე, რომელიც მან დაახასიათა როგორც „ევროპის უმთავრესი პრობლემა".

აღმოსავლეთი გერმანია, თქვა მან, განიცდის უდიდეს უბედურებასა და დევნილობას. მას ჰყავს გერმანელთა ძლიერი და კარგად აღჭურვილი კომუნისტური შეიარაღებული ძალები, რომლებიც შექმნილია საბჭოების მიერ და რომლებშიც ასი ათასზე მეტი კაცია.

„ჩვენმა ქვეყანამ, შეერთებულმა შტატებმა და საფრანგეთმა ახალი საგულისხმო ურთიერთობა დაამყარეს დასავლეთ გერმანიასთან. ჩვენი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ უაღრესად კეთილსინდისიერად დავიცვათ დასავლეთ გერმანიასთან დადებული ჩვენი შეთანხმებების ფორმა და შინაარსი".

ჩერჩილმა განაცხადა, რომ გერმანიის ფედერალური კანცლერი კონრად ადენაუერი „სავსებით შეიძლება ჩაითვალოს გერმანიის უბრძნეს სახელმწიფო მოღვაწედ ბისმარკის დროიდან".

შემდეგ ჩერჩილმა განაგრძო „რაც უნდა ძლიერი იყოს ჩვენი სურვილი — მივაღწიოთ მეგობრულ მოწესრიგებას საბჭოთა რუსეთთან, ან უკეთეს მოღუნ ვიკენდრისაც კი, სრულიადაც არ ვაპირებთ ხელი ავიღოთ იმ ვალდებულებათა შესრულებაზე, რომლებიც ჩვენ ვიკისრეთ დასავლეთ გერმანიის მიმართ".

ადენაუერი ინგლისს ჩამოვა რამდენიმე დღის შემდეგ. „ჩვენ, რა თქმა უნდა, დავაწერშუნებთ მას, რომ დასავლეთი გერმანია არავითარ შემთხვევაში არ იქნება მსხვერპლად მიტანილი და მუდამ დარჩება თავისი ბედის ბატონ-პატრონი, როგორც ეს გამომდინარეობს იმ შეთანხმებებიდან, რომლებიც ჩვენ და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციაში შემავალმა სხვა ქვეყნებმა დავდეთ მასთან".

ჩერჩილმა განაცხადა, რომ საფრანგეთის სამხედრო მდგომარეობამ, უეჭველია, შეიძენა სერიოზული შეშფოთება გამოიწვიოს ანგლოსაქსურ სამყაროში მისი გავლენის გამო პოლიტიკაზე იმ ვრცელ რაიონებში, რომლების დაცვასაც ისინი (ფრანგები. — რედ.) ცდილობენ.

აღნიშნა, რა რომ საფრანგეთი ყოყმანობს — თავისი დავა ინდოჩინეთში გადასცეს თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განხილველად, ჩერჩილმა განაცხადა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრთა უმეტესობას კოლონიები არა აქვს და განწყობილია დაიკავოს „შესაძლებელია, განსაკუთრებული პოზიცია იმათ მიმართ, ვისაც კოლონიები აქვს". აქედან გამომდინარეობს საფრანგეთის ყოყმანი — მიმართოს თუ არა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მექანიზმს.

მაგრამ ჩერჩილმა შემდეგ თქვა: „რასაკვირველია, თუ საფრანგეთს სურს შეინარჩუნოს ავტორიტეტი და საფრანგეთის კავშირის არსებობა ისე, რომ ამ საქმეში არავითარი ურთიერთმოქმედება არ ჰქონდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, მან თვითონ უნდა მიიღოს უფრო ქმედითი ღონისძიებანი.

საფრანგეთს რომ დღეს ჰქონდეს ისეთივე სამხედრო სისტემა, როგორიც არის ინგლისში, — ორი წლის სამხედრო ბეგარა და იმის უფლება, რომ ისინი, ვინც სამხედრო ბეგარას იხდის, ან ახალწვეულნი გაგზავნოს საზღვარგარეთ, ევროპის ფარგლებს იქით, — მე კეთქრთ, იგი გაცილებით უფრო ადვილად შეინარჩუნებდა თავის პოზიციებს ინდოჩინეთში".

შეეხო რა ინგლისის დამოკიდებულებას ევროპის თავდაცვითი გაერთიანებებისადმი, ჩერჩილმა განაცხადა, რომ ინგლისი არ აპირებს შევიდეს ევროპის ფედერალურ სისტემაში. „ჩვენ მათთან ვართ, მაგრამ არ წარმოვადგენთ მათს ნაწილს. ჩვენ გვაქვს ერების საკუთარი თანამეგობრობა და იმპერია". მან დასძინა: „მე, როგორც საფრანგეთის აქტიური მეგობარს თითქმის 50 წლის განმავლობაში, მუდამ მიმაჩნდა, რომ ჩვენი ბედი დაკავშირებულია ერთმანეთთან".

ომის დამთავრების შემდეგ ინგლისმა ხუთჯერ მისცა გარანტია, რომ იგი დაეხმარება საფრანგეთის დაცვას აგრესიული თავდასხმისაგან.

ინგლისმა აგრეთვე გამოაცხადა, რომ მუდამ დაინტერესებულია ევროპის თავდაცვითი გაერთიანების ძლიერების განმტკიცებით და მისი მთლიანობით.

„ჩვენ ვეთანხმებით პრინციპს, რომ ჩვენს ქვეყანასა და ევროპის თავდაცვითს გაერთიანებას შორის არსებობს განსაკუთრებით ძალიერი ურთიერთობა... პოლიტიკის მხრივ ჩვენ განზრახული ვგვაქვს სისტემატური და სერიოზული კოალიცია ვიქონიოთ იმ პრობლემებთან გამო, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ".

ომის შემთხვევაში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის ძალა ინ ... შეძლებს გადაიყვან-გადმოიყვანოს ინგლისის დივიზიები სტრატეგიული და ტაქტიკური მოთხოვნების შესაბამისად.

„ეს ერთ რა შეგვიძლია მოვიმოქმედოთ, — ეკითხა ჩერჩილმა, — გარდა სრული შეერთებისა ევროპის სამხედრო ორგანიზაციასთან?"

ინგლისს თავის საკუთარ ტერიტორიაზე არა ჰყავს დივიზიები მასშტაბის არც ერთი შეხვერთი. არც ერთ ქვეყანას არასოდეს არ გუწევია ასეთი რისკი. არც ერთ ქვეყანას არასოდეს არ მიუღია ამისათვის ესოდენ ძვირე დაფასება.

შეეხო რა ბალკანეთს, ჩერჩილმა განაცხადა, რომ იუგოსლავიას, საბერძნეთსა და თურქეთს შორის დადებულმა შეთანხმებამ ძნიშნელოვნად გააძლიერა ძოკავშირეთა თავდაცვის ძთელი სისტემა. ამ შეთახმებამ ფრიად ხელსაყრელი გავლენა მოახდინა შუა აღმოსავლეთის დაცვაზე, ხოლო ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის სახელმწიფოთა რრცხვში თურქეთის შეყვანა დიდ გავლენას მოახდენს არაბულ სახელმწიფოებზე.

„ჩვენ გვწამს, რომ არაბულ სახელმწიფოთა სიბრძნემ შეიძლება კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობა დაამყარებინოს მათ დასავლეთელ მოკავშირეებთან, რომლებთანაც ისინი ესოდენ ბევრი საერთო ინტერესით და ურთიერთუშიშროებით არიან დაკავშირებულნი".

ჩერჩილი შეეხო საბჭოთა რუსეთის პოზიციის შეცვლას უკანასკნელ პერიოდში.

მან თქვა: „ჩვენი პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენს განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით თავდან ავიცილოთ რაიმე მოქმედება ან განცხადება, რომელმაც შეიძლება შეაჩეროს კეთილსასურველი რეაქცია, რასაც შესაძლოა, ადგილი ჰქონდეს, და მიგესალმით რუსეთთან ჩვენი ურთიერთობის გაუმჯობესების ყოველ ნიშანს.

ჩვენ გამხნევებული ვართ მთელი რიგი მეგობრული ფესტებით ახალი საბჭოთა მთავრობის მხრივ".

„ამ ფესტებს ჯერჯერობით ისეთი მოქმედების შეწყვეტის ხასიათი ჰქონდა, როგორსაც ჩვენ ვთრდებოდით მათ მიმართ. ამიტომ ძნელი გამოსანახავია იმის კონკრეტული შესაძლებლობანი, რომ ამითვე ეუპასუხოთ მათ ფესტებს".

მაგრამ თუ ასეთ შესაძლებლობებზე მიგვითითებენ, მათ „უეჭველია, დაუყოვნებლივ და თანაგრძნობის სულისკვეთებით შეისწავლის მთავრობა".

ჩერჩილმა განაცხადა: შეცდომა იქნებოდა ვვეფიქრნა, რომ არაფერი არ შეიძლება მოწესრიგდეს საბჭოთა რუსეთთან, თუ ყველაფერი არ მოწესრიგდა ან მანამდე, სანამ ყველაფერი არ მოწესრიგდება.

„ორი ან სამი საძნელო მომენტის მოწესრიგება შიღწევა იქნებოდა ყოველი მშვიდობისმოყვარე ქვეყნისათვის".

მაგალითად, მშვიდობა კორეაში და ავსტრიის ხელშეკრულების დადება გამოიწვევდა ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას უაღლოესი რამდენიმე წლით, რაც თავის მხრივ, ახალ პერსპექტივებს შექმნიდ ყველა ქვეყნის უშიშროებისა და აყვავებისათვის.

„ამიტომ მე ეფიქრობ, რომ შეცდომა იქნებოდა ძალიან დაწვრილებითი ვარაუდების გაკეთება და მოლოდინი, რომ სერიოზული კარდინალური საკითხები, რომლებიც თიმავენ მსოფლიოს კომუნისტურ და არაკომუნისტურ ნაწილს, შეიძლება მოწესრიგდეს ერთი დაკვრით ერთიანი ყოვლისმომცველი შეთანხმების საშუალებით".

არ უნდა უგულებელვყოთ ცალკეული პრობლემების ნაწილ-ნაწილ გადაწყვეტა, თქვა ჩერჩილმა.

„რასაკვირველია, ურიგო როდი იქნება, თუ რაღაც დროის განმავლობაში თვითეული მხარე იფიქრებს, რა შეიძლება კაკეთდეს ისეთი, რომ მისაღები და არა მიუღებელი იყოს მეორე მხარისათვის".

სავალალო იქნებოდა, თუ საერთაშორისო პოლიტიკის მოწესრიგების ბუნებრივი სურვილი შეფერხებდა „რაიმე თავისთავად და ჯანსაღ ევოლუციებს, რომლებიც, შესაძლოა, ხდებოდეს რუსეთში.

ზოგიერთი საშინაო მოვლენა და განწყობილების შეცვლის ნიშნები მე გაცილებით უფრო მნიშვნელოვნად და საგულისხმოდ მიმაჩნია, ვიდრე ის, რაც საგარეო ასპარეზზე ხდება.

მე ძალიან მსურს, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში არაფერმა არ შეუშალოს ხელი და ძალა არ გამოიცალოს იმას, რაც, შესაძლოა, წარმოადგენდეს რუსების გრძნობათა ღრმა შეცვლას. ჩვენ ყველას გვსურს, რომ რუსმა ხალხმა მისი შესაფერი თვალსაჩინო ადგილი დაიკავოს საერთაშორისო საქმეებში და არ განიცდიდეს შეშფოთებას თავისი უშიშრებისათვის.

მე არა მეეჭვა, რომ [illegible] ... ეფექტს უაღრესად [illegible] უშიშროების შეთავსებისა დასავლეთ ევროპის თავისუფლებასა და უშიშროებასთან".

„მე უნდა განვმარტო, რომ, საერთაშორისო საქმეებში მთელი გაურკვევლობისა და ანბეულობის მიუხედავად, მიმაჩნია, რომ სულ მოკლე ხანში უნდა გაიმართოს კონფერენცია ყველაზე მაღალ სფეროებში წამყვან სახელმწიფოებს შორის".

ამ კონფერენციაში, განაგრძო ჩერჩილმა, მონაწილეობა უნდა მიიღოს რაც შეიძლება ნაკლებმა სახელმწიფომ და პირმა. ეს შეხვედრა უნდა იყოს „ერთგვაროვან არაოფიციალური და კიდევ უფრო მეტად დახურული და განმარტებული".

შემდეგ ჩერჩილმა განაგრძო: „სავსებით შესაძლოა, რომ მიღწეული ვერ იქნება მტკიცე შეთანხმება, მაგრამ ყველა შეკრებილი უნდა გაიმსჭვალოს იმ გრძნობით, რომ მათ შეუძლიათ გაიკითონ რაიმე უფრო კარგი, ვიდრე ის, რომ ნაწილებად ჯიჯგნონ კაცობრიობა, მათ შორის თავიანთი თავიც.

მე მხოლოდ მინდა ვთქვა, რომ ეს შეიძლება ბოხდეს, და არ მესმის, რატომ უნდა ეშინოდეს ვინმეს ასეთი ნაბიჯის გადადგმისა".

ჩერჩილმა მოიყვანა ვრცელი ამონაწერი დეპეშისა, რომელიც მან გაუგზავნა სტალინს 1945 წლის 29 აპრილს და რომელშიც მოუწოდებდა უფრო მჭიდრო ურთიერთგაგებისაკენ სახელმწიფოების კომუნისტურ და არა კომუნისტურ ჯგუფებს შორის.

„ჩემი შეხედულება ამ საკითხში დღესაც ასეთია", — თქვა მან.

ჩერჩილმა განაცხადა, რომ მისი აზრით, ლოკარნოს ხელშეკრულების მსგავსი ხელშეკრულება სავსებით შეასრულებდა თავის როლს გერმანიისა და რუსეთის ურთიერთობაში, როგორც მიაჩნიათ იმათ, „ვისი უპირველესი მიზანიც არის განმტკიცონ ევროპაში მშვიდობა, როგორც მთელი კაცობრიობის მშვიდობის საფუძველი".

ჩერჩილმა განმარტა, რომ ლოკარნოს 1925 წლის ხელშეკრულება ემყარებოდა „საგულისხმო დებულებას", რომ, თუ გერმანია თავს დაესხმის საფრანგეთს, ინგლისი იქნება ფრანგების მხარეზე, ხოლო თუ საფრანგეთი თავს დაესხმის გერმანიას, ინგლისი იქნება გერმანელების მხარეზე. უფრო ადრე, შეეხო რა გერმანიას, როგორც ევროპის თავაკ პრობლემას, ჩერჩილმა თქვა: „შეერთებულ შტატებს რომ დაჯერებინათ ჩვენი რჩევა გერმანიასთან დროებითი ზავის დადების შედეგად, დასავლეთელი მოკავშირეები არ დაიბრუნდნენ ფრონტის ხაზიდან, რომელსაც მიღწიეს მათმა არმიებმა, ოკუპაციის შეთანხმებულ მიჯნებამდე მანამდე, სანამ საბჭოთა რუსეთთან მიღწეული არ იქნებოდა შეთანხმება მრავალი უთანხმოების შესახებ მტრის ტერიტორიის ოკუპაციის გამო, რომლის მხოლოდ ნაწილს, ანასკვერგელია, წარმოადგენდა გერმანიის ოკუპაცია.

ჩვენი თვალსაზრისი არ მიიღეს და გერმანიის ვრცელი რაიონი დავთმო საბჭოთა ოკუპაციას ისე, რომ არ ყოფილა მიღწეული საერთო მოწესრიგება სამ ძლევამოსილ სახელმწიფოს შორის".

ჩერჩილმა თქვა, რომ პოტსდამის კონფერენციის შემდეგ, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ შეერთებული შტატები, ინგლისი, საფრანგეთი და რუსეთი, სტალინის რუსეთმა დაიკავა „ფრიად მტრული პოზიცია დასავლეთელი მოკავშირეების მიმართ".

„თავიდანვე სტალინი წაიწყდა მტკიცე და მედგარ წინააღმდეგობას განსვენებული ერნსტ ბევინის (ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის — ლეიბორისტის) მხ

ინგლისის თემთა პალატაში

(დასასრული)

ლონდონი, 13 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, თემთა პალატაში 12 მაისს საგარეო პოლიტიკის საკითხებზე კამათში გამოსულმა ეტლიმ მოუწოდა უფრო მჭიდრო პირადი ურთიერთობა დამყარდეს დიდ სახელმწიფოთა შორის. მან სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის 11 მაისის გამოსვლის პასუხად, რომელმაც მოუწოდა გაიმართოს ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება „რაც შეიძლება მოკლე ხანში“.

ეტლიმ განაცხადა: მეტად სასურველია, რომ ერთმანეთს უკეთ გაუგონ ინგლისმა რუსეთს და რუსეთმა ინგლისს.

ეტლიმ მოუწოდა ანგარიში გაუწიონ ეროვნულ მოძრაობას იმისაგან დამოუკიდებლად, ინდოჩინეთში ვითარდება იგი, ეგვიპტეში, არაბეთსა თუ აფრიკაში. „ყოველივე ეს საბჭოთა ინტრიგებს რომ მიეწეროს, — თქვა ეტლიმ, — ეს პრობლემის მეტად გაუბრალოებას ნიშნავს“. შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, განაგრძო ეტლიმ, საზოგადოებრივი აზრის გარკვეული ნაწილი სწორედ ამისი მომხრეა. მეორე მხრივ, ინგლისსა და სხვა ქვეყნებშიც არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც სურთ ყველა არეულობა ამერიკის პოლიტიკას მიაწერონ, „ესეც შეცდომად მიმაჩნია“.

ეტლიმ მხარი დაუჭირა ჩერჩილს იმ მხრივ, რომ არ შეიძლება უგულებელყოთ ცალკეული პრობლემების ნაწილობრივ გადაჭრა და უარი ვთქვათ ასეთ მეთოდზე. არსებობს სერიოზული საფრთხე ისეთი ცდისა, რომ მეტად ფართო მიზანი დავისახოთ. „მე მგონია, რომ თუ დღინარეში, რომლითაც ხე-ტყის დაცურება წარმოებს, ხერგილი შეიქმნა, უნდა დავიწყოთ ერთი თუ ორი ძელის გამოთრევა იმ იმედით, რომ ხეტყის მთელი მასა ადგილიდან დაიძვრის“.

შემდეგ ეტლიმ თქვა, რომ სურს შეეხოს რამდენიმე ფაქტს ამერიკის შესახებ, რაც, როგორც იმედოვნებს, საწყენად არ იქნება მიღებული. მან დაიწყო შედარებით. მან თქვა: „პრემიერ-მინისტრი თემთა პალატაში მოდის და გვაცნობს თავის პოლიტიკას. მას შეუძლია, თუ მოისურვებს, წინადადება შეიტანოს, რომ ხმა მისცენ მის პოლიტიკას, ანდა — როგორც ახლანდელ კამათში — მას შეუძლია დასჯერდეს პალატის ორივე მხარის მიერ მნიშვნელოვანწილად მოწონებას“.

„ვნახოთ, როგორია მდგომარეობა გაღმა მხარეს. პრეზიდენტი ეიზენჰაუერი დიდმნიშვნელოვან სიტყვას ამბობს. იგი ლაპარაკობს მთავრობის სახელით. მაგრამ ამერიკაში ძალაუფლება გაყოფილია მთავრობასა და კონგრესს შორის. მთავრობას შეუძლია სურდეს წაახალისოს ჩვენი ექსპორტი შეერთებულ შტატებში, მაგრამ, როგორც ეს მოხდა კაშხალ „ჩიფ ჯოზეფ დემის“ მშენებლობის კონტრაქტების შესახებ, როცა განაცხადები ინგლისის ფირმებისა, რომლებიც ყველაზე მცირე ფასს სთავაზობდნენ, უარყო ამერიკის არმიამ, — მთავრობის პოლიტიკა შეიძლება დამარცხდეს.

ამერიკის მთავრობა ნამდვილი ბატონ-პატრონი როდია საკუთარ სახლში. კონგრესი წინანდებურად შედგება ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ უწინარეს ყოვლისა კავშირის რომელიმე გარკვეული შტატის ინტერესებს“.

როგორც საერთაშორისო მდგომარეობის ერთერთი უეჭველი ფაქტორი, განაგრძო ეტლიმ, შეიძლება აღინიშნოს ის, რომ ამერიკის კონსტიტუცია ნავარაუდევი იყო როგორც იზოლაციონისტური სახელმწიფოს კონსტიტუცია. აქერიკელებს არა სურდათ რაიმე საერთო ჰქონოდათ ევროპასთან. „მე სრულიადაც არ ვაკრიტიკებ ამერიკას ან მის კონსტიტუციას; მე მხოლოდ მომყავს ფაქტები, რადგან მგონია, რომ ბევრი ადამიანი ხშირად შეცდომაში შეყვანილი აღმოჩნდება ხოლმე. იბადება გაუგებრობა და იმედის გაცრუება იმის გამო, რომ ჩვენ არ გვესმის ამერიკის კონსტიტუცია. ხშირად დაფიქრებულან იმაზე, თუ ვინ უფრო ძლიერია: პრეზიდენტი ეიზენჰაუერი თუ სენატორი მაკკარტი“.

გადავიდა რა შემდეგ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე, ეტლიმ განაცხადა: „შეერთებულ შტატებში არიან ელემენტები, რომლებსაც არა სურთ მოწესრიგება, და ამ ფაქტს ინგლისში უნდა გავუწიოთ, არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც სურთ გაჩაღებული ომი ჩინეთთან, ომი საერთოდ კომუნიზმის წინააღმდეგ. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ძლიერია ჩან კაი-შის მომხრეთა გავლენა კონგრესის კულუარებში“.

ეტლიმ აღნიშნა: სასარგებლო იქნებოდა, რომ კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიეღოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა დაინტერესებულ წევრებს. „მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ როცა— როგორც ჩვენ ყველას იმედი გვაქვს — ეს უშუალო მოლაპარაკება დაზავების შესახებ დამთავრდება, შემდგომ მოწესრიგებას არ მიანდობენ მხოლოდ და მხოლოდ ამერიკელებს“. როგორც შემდეგ ეტლიმ აღნიშნა, ამ ბოლო დროს იგი შეშფოთებული იყო მოლაპარაკების გაჭიანურებით. „მე არ მიმაჩნია, რომ ის დანარჩენი პუნქტები, რომლებიც ამჟამად დავას იწვევენ, თავისი ხასიათით ნამდვილად ისეთია, რომ უნდა შეფერხონ ეს მოლაპარაკება“.

„დარწმუნებული ვარ უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე წინათ, — თქვა შემდეგ ეტლიმ, — რომ, როგორც კი დაიდება შეთანხმება, ჩინეთმა უნდა დაიკავოს უშიშროების საბჭოში ადგილი, რომელიც მას სამართლიანად ეკუთვნის. ყველაფრიდან ჩანს, რომ იგი საკმაოდ ძლავრი სახელმწიფო ხდება; მას უფლება აქვს იყოს დიდი ხუთეულის ერთ-ერთი წევრი“.

შემდეგ ეტლიმ განაცხადა, რომ ინგლისი უაღრესად დაინტერესებულია მშვიდობით ჩინეთში. მისი იმედი, რომ გაფართოებდა ვაჭრობას შეერთებულ შტატებთან, სერიოზულად შესუსტდა ამასწინანდელი ამბების შედეგად. პრინციპი „ვაჭრობა და არა დახმარება“, როგორც ჩანს, არ მიიღეს შეერთებულ შტატებში. „ჩვენ მუდამ გვაიძულებენ არ ვივაჭროთ ჩინეთთან იმ საქონლითაც კი, რომელსაც ძალიან შორეული დამოკიდებულება აქვს სამხედრო ლონისძიებებთან. ჩვენ ისევე უაღრესად დაინტერესებული ვართ ჩინეთის ამ საკითხის მოწესრიგებით, როგორც ყოველი სხვა ქვეყანა“.

როგორც შემდეგ ეტლიმ აღნიშნა, იგი დარწმუნებულია, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის ინდოჩინეთის საკითხის გადაცემის ყოველი ცდა გამოიწვევს „სერიოზულ განხეთქილებას გაერთიანებულ ერებში და, რასაც ჩვენთვის კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, განხეთქილებას „ერების თანამეგობრობაშიც“ კი“.

ეტლიმ თქვა, რომ ამას წინათ იგი ესაუბრა აზიის ქვეყნების ბევრ წარმომადგენელს (ბირმაში აზიის სოციალისტური პარტიების კონფერენციაზე ყოფნის დროს). როგორც ეტლიმ აღნიშნა, ყველა მათ — სწორია ეს თუ არა,სწორია — მიაჩნიათ, რომ ვიეტმინი წარმოიშვა უმთავრესად როგორც ამბოხება საფრანგეთის კოლონიალიზმის წინააღმდეგ. ვიეტმინმა, ბუნებრივია, მიიღო დახმარება ჩინელებისაგან ან კიდევ ვინმესაგან, სწორედ ისევე, როგორც ჩინეთი დახმარებას იღებდა რუსეთისაგან. „მაგრამ ის აზრი, რომ ინდოჩინელებს სურთ ჩინეთის სატელიტები გახდნენ, ეწინააღმდეგება მსოფლიოს ამ ნაწილის მთელ ისტორიას“.

ეტლიმ გამოთქვა აზრი, რომ საფრანგეთი „ყოვნებს ამ ნაციონალისტური მოძრაობის ცნობას. მე არ ვგმობ ფრანგებს, რადგან, საბოლოო ანგარიშით, ისინი ამოაგდეს ომიდან. მათ წინაშე იდგა მეტად ძნელი ამოცანა: აღედგინათ თავიანთი პოზიციები და, შესაძლოა, გაეგოთ იმ ახალი ძალების ხასიათი, რომლებიც ამოძრავდნენ აზიაში“. მაგრამ, განაგრძო ეტლიმ, მას არ შეუძლია არ მიაჩნდეს, რომ იყო დრო, როცა შეიძლებოდა ყოველივე ამის მოწესრიგება. „ხოში მინი დღეს შეიძლება ყოფილიყო საფრანგეთის ინდოჩინეთის ნაწილის პრემიერ-მინისტრი სწორედ ისევე, როგორც სხვა ადამიანები, რომელთა შეხედულებებს ჩვენ წარსულში ან ვეთანხმებოდით, ბრიტანეთის ერთა თანამეგობრობის პრემიერ-მინისტრები არიან. მე ვფიქრობ, რომ მათ ახლა ანგარიში უნდა გაუწიონ მოვლენათა ლოგიკას“.

ეტლიმ განაცხადა, რომ შეცდომა იქნებოდა მიგვეჩნია, რომ გაერთიანებული გერმანია ავტომატურად უნდა გახდეს ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის ორგანიზაციის ნაწილი. „მე მიმაჩნია, რომ რუსები აუცილებლად იქნებიან ამის წინააღმდეგი, ისევე როგორც ჩვენ წინაღმდეგი ვიქნებოდით, რომ დასავლეთი გერმანია გამხდარიყო რუსეთის იმპერიის სატელიტი“.

თავისი გამოსვლის დასასრულს ეტლიმ მხარი დაუჭირა პრემიერ-მინისტრის წინადადებას — მოწვეულ იქნას დიდი სახელმწიფოების კონფერენცია მაღალ სფეროებში. „მე ვეთანხმები პრემიერ-მინისტრს, რომ არ იქნებოდა სასურველი ასეთი კონფერენციის მოწყობა ექსპერტთა დიდი ამალის მონაწილეობით“.

ეტლიმ რწმენა გამოთქვა, რომ შეცდომა იქნებოდა ისეთი კონფერენციის მოწყობა, რომელიც საჯარო დისკუსიას მოგვაგონებს. ამას მოწმობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გამოცდილება. ყოველი ასეთი კონფერენცია დიდ გულდასმითს მომზადებას მოითხოვს. „ჩვენ გვსურს მტკიცედ ვიცოდეთ, რა გვინდა, და ეს ეხება არა მარტო ინგლისს, არამედ შეერთებულ შტატებსაც“.

კვლავ არსებობს თავისებური კონსტიტუციური მდგომარეობა, განაგრძო ეტლიმ. „პრეზიდენტ ეიზენჰაუერს შეუძლია წავიდეს კონფერენციაზე, შემდეგ დაბრუნდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში და აღმოჩნდეს გადაყენებული, როგორც ეს მოუვიდა პრეზიდენტ ვილსონს ვერსალში მოლაპარაკების შემდეგ“, ამიტომ საჭიროა, რომ ის, ვინც კონფერენციაზე წავა, აღჭურვილი იყოს მთელი რწმენებებით. ამ იდეალების მისაღწევად საჭიროა სრული თანამშრომლობა. მაგრამ უგუნურება იქნებოდა მოლოდინი, რომ კონფერენციაზე საბოლოოდ მოწესრიგდება ყველა საერთაშორისო უთანხმოება, კონფერენციის მთავარი დირებულებაა პირადი კონტაქტისა და ურთიერთგაგების დამყარება, რამაც შეიძლება უზრუნველყოს მშვიდობა“.

საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

პარიზი, 13 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ლუმანიტე“ იუწყება, კომუნისტმა დეპუტატებმა დიუკლომ, ფაჟონმა, ბიიუმ და გიუიომ კომუნისტური პარტიის საპარლამენტო ჯგუფის სახელით ეროვნული კრების ბიუროში შეიტანეს წინადადება — შეიქმნას სპეციალური კომისია ყველა საპარლამენტო ჯგუფის წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, „როგორ მოხდა, რომ მრავალი წლის განმავლობაში წარმოებდა სპეკულაცია ინდო-ჩინური პიასტრებით. გარდა ამისა, კომისიამ უნდა გამოარკვიოს, პოლიტიკური და ფინანსური წრეების რომელი მოღვაწე ეწეოდა ამ სპეკულაციას და ვინ იყო მისი თანამოაზრე“.

ამ წინადადების ახსნა-განმარტებით ბარათში ნათქვამია, რომ ზოგიერთი გაზეთის ცნობებმა და კომუნისტური პარტიის მხილებამ დაადასტურა ფაქტი, რომ „არსებობდა ფართო სპეკულაცია პიასტრებით, რამაც შექმნა შესაძლებლობა უდიდესი ქონება შეეძინათ ათიათასობით ახალგაზრდა ფრანგისა და ვიეტნამელის სისხლის ფასად“.

საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიაში

პარიზი, 13 მაისი. (საკდესი). ფრანს პრესის საგენტოს ცნობით, საფრანგეთის ეროვნული კრების საგარეო საქმეთა კომისიამ დღევანდელ სხდომაზე მიიღო შემდეგი რეზოლუცია:

„საგარეო საქმეთა კომისია გამოთქვამს სურვილს, რომ საფრანგეთის მთავრობამ კვლავ გაანაცხადოს, როგორც ეს გააკეთა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა, თავისი სურვილი, რაც შეიძლება მალე იქნას მოწვეული ოთხი სახელმწიფოს ყველაზე მაღალი წარმომადგენლების თათბირი და რომ მან ამ მხრივ წარმოადგინოს კონკრეტული წინადადება ასეთი თათბირის მოსამზადებლად“.

ბრიტანეთის გვიანინის არჩევნებში პროგრესული ძალების გამარჯვების გამო

ვაშინგტონი, 13 მაისი. (საკდესი). გაზეთ „ვაშინგტონ პოსტის“ კორესპონდენტი დრიუ პირსონი იუწყება, რომ „ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი ისტერიულ დეპეშებს უგზავნის ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტროს იმასთან დაკავშირებით, რომ კარაიბის ზღვის რაიონში — სწორედ პანამის არხის პირდაპირ გაძლიერდა „კომუნიზმი“. როგორც პირსონის ცნობიდან ჩანს „კომუნიზმის გაძლიერებამ“ თავი იჩინა იმით, რომ ბრიტანეთის გვიანაში სახალხო-პროგრესულმა პარტიამ პალატის არჩევნებში მიიღო 18 ადგილი 24 ადგილიდან.

როკფელერი ბეირუთს ჩავიდა

ბეირუთი, 12 მაისი. (საკდესი). პრესის ცნობით, ამას წინათ ბეირუთს ჩამოვიდა ამერიკელი მილიარდერი დავიდ როკფელერი. 11 მაისს როკფელერი ეწვია დამასკოს, სადაც იგი შეხვდა სირიის არმიის გენერალური შტაბის უფროსს გენერალ შიშეკლის. იმავე დღეს როკფელერმა დატოვა ლიბანი და წავიდა კუვეიტში.

გაზეთების ცნობით, როკფელერს განზრახული აქვს ეწვიოს ერ-რიადს, ჯიდეს და კაიროს.

გაზეთი „ას-სარხა“ როკფელერის ამ ვიზიტს უკავშირებს დალესის მგზავრობას ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში.

გადადგა გენერალი რიჯუეი

პარიზი, 12 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტოს ცნობიდან ირკვევა, ევროპაში ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გენერალი რიჯუეი გადადგა იმასთან დაკავშირებით, რომ იგი დანიშნა ამერიკის არმიის შტაბის უფროსის პოსტზე. რიჯუეის ნაცვლად დანიშნულია ამერიკელი გენერალი ა. გრიუნტერი.

მსუბუქი და კვების მრეწველობის მუშაკთა კომბინატის მ. გორკის სახელობის პარკში თვალსაწინებულია 650 კაციანათვის. აქ უკვე მუშაობენ თვითმმართველი დრამატული, ქორეოგრაფიული წრეები, სიმღერიანი ორკესტრი და სხვ. ს უ რ ა თ ზ ე: კლუბის ახალი შენობა.
ფოტო გ. ვახტანგაძისა.

ხელოვნების ქრონიკა

ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფიისადმი მიძღვნილი საღამო

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლში ამ სახლის გამგეობამ, საქართველოს მწერალთა კავშირმა და თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის შემოქმედებითმა სექციამ გამართეს დიდი საღამო, მიძღვნილი ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული რესპუბლიკის კინემატოგრაფიისადმი.

მოხსენება — „დემოკრატიული ჩეხოსლოვაკიის კინემატოგრაფია“ წაიკითხა კინოდრამატურგმა კ. გოგოძემ.

შეხვედრა მსახიობებთან

შემოქმედებითს მუშაობაში ურთიერთდახმარების მიზნით სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის კლუბში ერთმანეთს შეხვდნენ ამ კლუბის ქართული დრამატული წრის წევრები და მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის ახალგაზრდა მსახიობები.

მოხსენება — „კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალგაზრდა მსახიობების შემოქმედებითი გზა“ გააკეთა ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის თეატრალური განყოფილების გამგემ რ. სისორდიამ.

კლუბის დრამატულმა წრემ დადგა ერთმოქმედებიანი კომედიები — გ. მიქაშავიძის „ვერცხლის მედალონსა“ და ა. ჩეხოვის — „ხელის თხოვა“, სურათი მ. მრეველიშვილის პიესიდან „ხარატაანთ კერა“, აგრეთვე წაიკითხეს მონოლოგები და ლექსები.

წარმოდგენების შემდეგ თეატრის მსახიობებმა დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი მუშაობის პრაქტიკა.

შემოქმედებითი საღამო

12 მაისს საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკურმა სახლმა საქართველოს ხელოვნების მუშაკთა სახლთან ერთად მოაწყო სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის შემოქმედებითი საღამო. მონაწილეობას იღებდნენ მომღერალთა გუნდი ლუს ფერნანდესის ხელმძღვანელობით, ქორეოგრაფიული წრეები ვ. კოკარევისა და გ. ჩივაძის ხელმძღვანელობით.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ მოსკოვში გაიმართა „ა“ კლასის ოსტატ ფეხბურთელთა კოლექტივების მორიგი ასპარეზობა საბჭოთა კავშირის 1953 წლის პირველობაზე. თამაშობდნენ დედაქალაქის „ტორპედოსა“ და ხარკოვის „ლოკომოტივის“ გუნდები. შეჯიბრება დამთავრდა ტორპედოელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

ამ დღეს შეხვედრა გაიმართა აგრეთვე ლენინგრადში. თამაშობდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის“ გუნდები. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა „კრილია სოვეტოვის“ გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ბრძოლა მგაცცებელ ცხოველებთან

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ექცევა მტაცებელი ცხოველების მოსპობას. ამ მხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა საქართველოს მონადირეთა კავშირი. მარტო გასულ წელს „მონკავშირის“ წევრებმა მოსპეს 423 მგელი, 240 მგლის ლეკვი, 5 აფთარი, 106 ფოცხვერი, 3.873 ტორა, 2.630 გარეული კატა.

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ი. დ. არმენელაძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ.

ამხ. ვ. გ. ქიქოძე და ამხ. პ. მ. კანდელაკი საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილეებად.

ამხ. გ. ს. ჯომარჯიძე, ამხ. მ. გ. კოდუა და ამხ. გ. გ. ავეტისოვი საქართველოს სსრ მსუბუქი და კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილეებად.

ამხ. გ. ე. ალავიძე საქართველოს სსრ საშინაო მალალთა მრეწველობის მინისტრის მოადგილედ.

ამხ. მ. ყ. ლომაძე საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის პირველ მოადგილედ, ხოლო ამხ. ვ. ვ. ფარჭოსაძე და ამხ. ს. ე. არობელიძე საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილეებად. (საქდესი).

რედაქტორი დ. მჭედლიშვილი.

ინგლისის თემთა პალატაში

(დასასრული)

ლონდონი, 13 მაისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, თემთა პალატაში 12 მაისს საგარეო პოლიტიკის საკითხებზე კამათში გამოსულმა ეტლიმ მოუწოდა უფრო მჭიდრო პირადი ურთიერთობა დამყარდეს დიდ სახელმწიფოთა შორის. მან სიტყვა წარმოთქვა პრემიერ-მინისტრ ჩერჩილის 11 მაისის გამოსვლის პასუხად, რომელმაც მოუწოდა გაიმართოს ოთხი სახელმწიფოს მოლაპარაკება „რაც შეიძლება მოკლე ხანში“.

ეტლიმ განაცხადა: მეტად სასურველია, რომ ერთმანეთს უკეთ გაუგონ ინგლისმა რუსეთს და რუსეთმა ინგლისს.

ეტლიმ მოუწოდა ანგარიში გაუწიონ ეროვნულ მოძრაობას იმისაგან დამოუკიდებლად, ინდოჩინეთში ვითარდება იგი, ეგვიპტეში, არაბეთსა თუ აფრიკაში. „ყოველივე ეს საბჭოთა ინტრიგებს რომ მიეწეროს, — თქვა ეტლიმ, — ეს პრობლემის მეტად გაუბრალოებას ნიშნავს“. შეერთებულ შტატებსა და ინგლისში, განაგრძო ეტლიმ, საზოგადოებრივი აზრის გარკვეული ნაწილი სწორედ ამისი მომხრეა. მეორე მხრივ, ინგლისსა და სხვა ქვეყნებშიც არიან ისეთი ადამიანები, რომლებსაც სურთ ყველა არეულობა ამერიკის პოლიტიკას მიაწერონ, „ესეც შეცდომად მიმაჩნია“.

ეტლიმ მხარი დაუჭირა ჩერჩილს იმ მხრივ, რომ არ შეიძლება უგულებელყოთ ცალკეული პრობლემების ნაწილობრივ გადაჭრა და უარი ვთქვათ ასეთ მეთოდზე. არსებობს სერიოზული საფრთხე ისეთი ცდისა, რომ მეტად ფართო მიზანი დავისახოთ. „მე მგონია, რომ თუ დღინარეში, რომლითაც ხე-ტყის დაცურება წარმოებს, ხერგილი შეიქმნა, უნდა დავიწყოთ ერთი თუ ორი ძელის გამოთრევა იმ იმედით, რომ ხეტყის მთელი მასა ადგილიდან დაიძვრის“.

შემდეგ ეტლიმ თქვა, რომ სურს შეეხოს რამდენიმე ფაქტს ამერიკის შესახებ, რაც, როგორც იმედოვნებს, საწყენად არ იქნება მიღებული. მან დაიწყო შედარებით. მან თქვა: „პრემიერ-მინისტრი თემთა პალატაში მოდის და გვაცნობს თავის პოლიტიკას. მას შეუძლია, თუ მოისურვებს, წინადადება შეიტანოს, რომ ხმა მისცენ მის პოლიტიკას, ანდა — როგორც ახლანდელ კამათში — მას შეუძლია დასჯერდეს პალატის ორივე მხარის მიერ მნიშვნელოვანწილად მოწონებას“.

„ვნახოთ, როგორია მდგომარეობა გაღმა მხარეს. პრეზიდენტი ეიზენჰაუერი დიდმნიშვნელოვან სიტყვას ამბობს. იგი ლაპარაკობს მთავრობის სახელით. მაგრამ ამერიკაში ძალაუფლება გაყოფილია მთავრობასა და კონგრესს შორის. მთავრობას შეუძლია სურდეს წაახალისოს ჩვენი ექსპორტი შეერთებულ შტატებში, მაგრამ, როგორც ეს მოხდა კაშხალ „ჩიფ ჯოზეფ დემის“ მშენებლობის კონტრაქტების შესახებ, როცა განაცხადები ინგლისის ფირმებისა, რომლებიც ყველაზე მცირე ფასს სთავაზობდნენ, უარყო ამერიკის არმიამ, — მთავრობის პოლიტიკა შეიძლება დამარცხდეს.

ამერიკის მთავრობა ნამდვილი ბატონ-პატრონი როდია საკუთარ სახლში. კონგრესი წინანდებურად შედგება ისეთი ადამიანებისაგან, რომლებიც წარმოადგენენ უწინარეს ყოვლისა კავშირის რომელიმე გარკვეული შტატის ინტერესებს“.

როგორც საერთაშორისო მდგომარეობის ერთერთი უეჭველი ფაქტორი, განაგრძო ეტლიმ,

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის ჯოუ ენ-ლაის პროგრესი

პეკინი, 12 მაისი. (საკდესი). სინხუას სააგენტო გადმოგვცემს:

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჯოუ ენ-ლაიმ გუშინ პროტესტი განაცხადა ამერიკის თვითმფრინავების მიერ ჩინეთის საჰაერო სივრცის დარღვევისა და მათ მიერ ჩინელ მოქალაქეთა დახოცვის წინააღმდეგ. პროტესტში ნათქვამია:

მიმდინარე წლის 10 და 11 მაისს ამერიკის თვითმფრინავები „J-86“, „J-84“, „B-29“ და „B-26“ კორეაში მოქმედი ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობიდან — საერთო რაოდენობით 25 მანქანა სამჯერ შემოიჭრა ჩინეთის საჰაერო სივრცეში ლაკუშაოსა და ანდუნის თავზე. მათ ჩამოყარეს ფურცლები, ატეხეს სროლა და მოახდინეს დაბომბვა. ამერიკის თვითმფრინავებმა ჩამოაგდეს 50-ზე მეტი ბომბი, რის შედეგადაც მოკლული და დაჭრილია 250-ზე მეტი ჩინელი მოქალაქე.

შეერთებული შტატების მთავრობის ეს მოქმედება, რომელიც ჩადენილია ჩინეთის საჰაერო სივრცის დარღვევის წინანდელი მრავალი შემთხვევისა და ჩინელ მოქალაქეთა მოკვლისა და დაჭრის შემდეგ, კიდევ უფრო სერიოზული პროვოკაციაა. მთელი ჩინელი ხალხი დიდად აღფოთებულია შეერთებული შტატების მთავრობას ამ ახალი დანაშაულებრივი აგრესიული აქტით. ამიტომ მე დავალებული მაქვს განვუცხადო შეერთებული შტატების მთავრობას მტკიცე პროტესტი.

მთელი მსოფლიოს ხალხებს მხურვალედ სურთ დაზავება კორეაში. ამ მიზნით, რომ მოწესრიგდეს სამხედრო ტყვეთა მთელი საკითხი და ამით ხელი შეეწყოს დაზავებას კორეაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ცენტრალურმა სახალხო მთავრობამ და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ თავიანთ განცხადებებში შესაბამისად 1953 წლის 30 და 31 მარტს წამოაყენეს სამართლიანი და გონივრული წინადადება. ამ წინადადებამ გამოიწვია დაზავების შესახებ დიდი ხნის შეწყვეტილი მოლაპარაკების განახლება. ამას გარდა დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა დელეგაციამ თანამიმდევრულად წამოაყენა ორი კონსტრუქციული გეგმა, რომელთა მიზანია სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის მთელი საკითხის გადაჭრა. ახლა კი, როცა მიმდინარეობს მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ, შეერთებული შტატების მთავრობა თავის ავიაციას გზავნის ჩინეთის საჰაერო სივრცის დასარღვევად და ჩინელ მოქალაქეთა დასახოცავად. შეერთებული შტატების მთავრობის ეს პროვოკაციული მოქმედება იმის სავსებით აშკარა ცდაა, რომ ზეგავლენა მოახდინონ დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე და წინააღმდეგობა გაუწიონ მთელი მსოფლიოს ხალხთა მხურვალე მისწრაფებას კორეაში დაზავებისადმი. მაგრამ უეჭველია, რომ შეერთებული შტატების მთავრობის ეს ცდა ჩაიფუშება. ჩინელი და კორეელი ხალხების მისწრაფება მშვიდობისათვის ბრძოლისადმი მტკიცე და ურყევია.

1953 წლის 11 მაისი.

მოლაპარაკება კორეაში დაზავების შესახებ

პეკინი, 12 მაისი. (საკდესი). როგორც სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი იუწყება, კორეაში დაზავების შესახებ მოლაპარაკებაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციამ დღეს გამოაქვეყნა შემდეგი კომუნიკე:

12 მაისს ორივე მხარის დელეგაციების სხდომაზე კორეა-ჩინეთის დელეგაციის მეთაურმა გენერალმა ნამ ირმა კვლავ განმარტა, რომ დარჩენილი სამხედრო ტყვეების საკითხი გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს პოლიტიკურ კონფერენციას. მან აღნიშნა, რომ კორეა-ჩინეთის მხარის პოზიციის თანახმად საკითხები უნდა გადაიჭრას თანდათან და რომ მოლაპარაკების ახლანდელმა სტადიამ გზა უნდა გაუკაფოს საკითხების მოწესრიგებას შემდგომ სტადიაში. მაგრამ, განაცხადა მან, მეორე მხარე ამჟამად აყენებს საკითხებს, რომლებიც მოლაპარაკების შემდგომ სტადიას ეკუთვნის, და სურს დაადგინოს, — რისთვისაც ახლა საფუძველი არ არის, — რომ პოლიტიკური კონფერენცია, მეორე მხარის მტკიცების თანახმად, ვერ შეძლებს მოაწესრიგოს დარჩენილი სამხედრო ტყვეების საკითხი.

ეს იმას იწვევს, აღნიშნა გენერალმა ნამ ირმა, რომ არც ერთი საკითხი არ შეიძლება გადაიჭრას და შეუძლებელია მიღწეულ იქნას დაზავება კორეაში.

გენერალმა ნამ ირმა კვლავ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კორეა-ჩინეთის მხარის 7 მაისის ახალი წინადადება გონივრული და პრაქტიკული საფუძველია სამხედრო ტყვეთა მთელი საკითხის მოწესრიგებისათვის. გენერალმა ნამ ირმა აგრეთვე პასუხი გასცა მეორე მხარის მიერ 11 მაისს დასმულ კითხვაზე იმის შესახებ, თუ რა გასამრჯელო უნდა მიეცეთ ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლებისაგან შედგენილი იმ სარეპატრიაციო კომისიის წევრებს, რომელიც უნდა შეიქმნას ამ ახალი წინადადების თანახმად, და აღნიშნა, რომ სხვადასხვა საბაბი, რომლებიც მეორე მხარემ ამ უკანასკნელ დღეებში წარმოადგინა მოლაპარაკების გაჭიანურების მიზნით, უსაფუძვლოა. გენერალმა ნამ ირმა შეიტანა წინადადება, რომ ორივე მხარის დელეგაციების სხდომამ დაუყოვნებლივ მიიღოს კორეა-ჩინეთის მხარის 7 მაისის წინადადება, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება კონკრეტული დეტალების შესახებ და დაიდოს დროებითი ზავი კორეაში.

მაგრამ მეორე მხარე განაგრძობდა თავისი მოსაზრებების წარმოდგენას, რომლებსაც იგი იმეორებს უკანასკნელი სამი დღის განმავლობაში და რომლებიც უკვე უარყო კორეა-ჩინეთის მხარემ, და არ შეიმუტანია არავითარი პოზიტიური წინადადება.

ამიტომ 12 მაისის სხდომაზე არავითარი პროგრესი არ ყოფილა მიღწეული.

კორეის ამგეგი

სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 12 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 12 მაისს გამოაცხადა: განვლილი დღის მანძილზე ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

დღეს საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის სამი თვითმფრინავი.

ფხენიანი, 13 მაისი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 13 მაისს გამოაცხადა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიისა და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები პენამდონის რაიონში ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლებს ეწოდნენ მტრის წინააღმდეგ.

დღეს საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი.

ამერიკის ავიაციის თავდასხმა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დ